№ 16.

# ივერია

წლიწადი პირველი

16 ივნისი 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, მიროევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძიებელი: I. ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის პარლამენტი.—III. ომის ამბები.—II. საპოლიტიკო მიმოხილვა.—IV. კავთობა სოფელს კურდღელაურში („ივერიის“ კორრესპონდენცია)—V. ეტნოგრაფიული განხილვა, (შემდეგი) დ. ჩუბინოვისა.—VI. ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს.—VII. სასაუბრო და საფიქრებელი, პ. ნ....ძე.

## ქალების არჩევანის უფლება და ინგლისის პარლამენტი.

ათმა წელიწადმა გაიარა მას აქეთ, რაც ქალებმა პირველად არჩევანის უფლება ითხოვეს ინგლისის პარლამენტში. მაშინ ეს თხოვნა ჯონ-სტუარტ-მილლმა შეიტანა ლონდონის პალატაში, არზაზედ 1500 კაცს ეწერა ხელი. მას აქეთ ეს საქმე არამც თუ არ შემწყდარა, არამედ საკვირვლად გაძლიერდა, სიმტკიცე და სიბეჯითე მოემატა, უფრო გავრცელდა და თითქმის მთელს საზოგადოებას მოედო. ეს გარემოება მით უფრო საკვირველი, რომ ამ ათის წლის განმავლობაში ქალებს ყოველ წლივ შექონდათ პარლამენტში ერთი და იგივე თხოვნა და პარლამენტი ყოველწლივ ერთსა და იმავე უარს ეუბნებოდა. აბა ვის არ გაუგრილდებოდა გული და ვინ არ დაჰკარგავდა სასოებას? მაგრამ ლონდონის ქალებმა კარგად იციან, რომ ინგლისში ყოველგვარი ცვლილება შეუძლებელია თუ ამ ცვლილებამ საზოგადოების აზრი არ მიიზიდა და არ დაიყოლია. საზოგადოების აზრის გამოცვლა და დაყოლიება, თუ თქვენც იტყვით მკითხველო, ადვილი საქმე არ არის და ჩქარა არ მოხერხდება. საზოგადოება არამც თუ მარტო იმისთანა მძიმე საქმეში, როგორიც ქალთათვის საპოლიტიკო უფლების მინიჭებაა, არამედ მცირე საქმეშიაც ძნელად ჰსთმობს ჩვეულებრივს, გათელილს გზას და დიდის ჭოჭმანებით გამოდის ახალზედ. ბევრს ტანჯვას და ვაივაგლახს გამოივლის ახალი აზრის მქადაგებელი, ბევრს რისხვას და შეჩვენებას განიცდის ვიდრე დაიყოლიებს საზოგადოებას და ჩააგონებს თავის საკუთარ რწმენას. ახალის აზრისა და რწმენის მიმდევარს დიდი სიმტკიცე ხასიათისა და დიდი სასოება გამარჯვებისა უნდა ჰქონდეს, რომ გული არ გაუგრილდეს და ხელიდგან არ გაუშვას მის მიერ დაწყებული საქმე. ამგვარი სიმტკიცე და სასოება ინგლისის ქალებმა გამოიჩინეს ამ ათის წლის განმავლობაში. იგინი წერა-ბეჭდვით და ლაპარაკით განუწყვეტლად ქადაგობდნენ და, თუმცა პარლამენტი უარს ჰყოფდა მათ თხოვნას, მაგრამ ამ ქადაგებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ეხლა მათ თხოვნას, რომელიც ბრაიტის ხელით წარუდგინეს პარლამენტს, 430,000 პირს უწერია ხელი მაშინ, როდესაც ათის წლის წინად 1,500 კაცს ეწერა ხელი.

აი რაში მდგომარეობს ქალების გულის ტკივილი ამ შემთხვევაში: 5 თიბათვეს (24 მაისს) ქალების დეპუტაცია მივიდა მინისტრ ნორტკოტთან და თხოვნა წარუდგინა. ეშვორტის ქალმა უთხრა, რომ ბევრგან უმთავრესი ნაწილი მამულ-დედულისა ქალების საკუთრებაა და ადგილობრივთა მოხელეთა ამორჩევისათვის კენჭი აქვსთ მინიჭებული, დეპუტატების ამორჩევისათვის კი არა აქვთო უფლება. ეს უსამართლობააო და ამიტომ გთხოვთ პარლამენტში ჩვენ მოგვემხროთო, როდესაც ჩვენი თხოვნა განირჩევაო. ნორტკოტმა უპასუხა: „საქმე რომ მარტო დედა-აზრზედ იყოს მიგდებული, მაშინ, რასაკვირველია, ქალებსაც უნდა ჰქონდეთ იგივე უფლება, როგორიც კაცებსა აქვთ. ხოლო ამ შემთხვევაში საქმე სხვაფრივ უნდა გაიშინჯოს. ჯერ უნდა გამოვიკვლიოთ თუ რა შედეგი ექმნება ამ ცვლილებას, რომელსაც თხოულობთ და მერე — კაი დრო შეგირჩევიათ თუარა მაგ თხოვნის წარმოსადგენად

და გასარჩევად. პირველ შეხედვით მართლა უსამართლობაა, რომ ქალებს არჩევანში არა აქვსთ მონაწილეობა, როდესაც იგინი იმავე ხარჯს იხდიან სახელმწიფოს წინაშე, როგორსაც კაცები. იმ არზაში, რომელიც ეხლა პარლამენტშია შეტანილი, მოხსენებულია, რომ ქალებს არჩევანის უფლება ყველა იმ შემთხვევაში უნდა მიეცეთ, რა შემთხვევაშიაც კაცებს ეძლევათ, გარდა ქმრიანის ქალებისა.

ეს უკანასკნელი პირობა შესანიშნავია და კარგი დაკვირვება და შესწავლა უნდა, რომ კაცმა მოიაზროს მისი ყოველგვარი შედეგი. უნდა მოვახსენოთ, რომ უდროოდროს დაიწყეთ ეს საქმე. მე იმ პირთა აზრისა არ გახლავარ, რომელნიც ამბობენ, რომ ქალებს კენჭის ხმარება სერიოზად არ შეუძლიანთო. მაგრამ, როგორც წინად მოვახსენეთ, პარლამენტი, ვიდრე თქვენ თხოვნას აგისრულებთ, კარგა უნდა დააკვირდეს და შეისწავლოს ყოველივე ის, რაც თქვენ მიერ თხოვნილს ცვლილებას შეუდგება.“

ქალებს რომ ეგ სურვილი აუსრულდეს, რა შედეგი ექნება? ქალთათვის არჩევანის უფლების მინიჭება მავნებელია თუ საკეთილო? ამ კითხვის ვრცელი პასუხი მოკლე მიმოხილვაში, რასაკვირველია, შეუძლებელია და ცალკე წერილის ღირსია. აქ მხოლოდ მოვახსენებთ თუ რა ითქვა ამ კითხვის შესახებ ლონდონის პარლამენტში.

6 თიბათვეს, როდესაც ამ საგანზედ ბაასი გაიმართა, პარლამენტში ახალი არა თქმულა რა. რაც ათის წლის განმავლობაში თქმულა ქალების უფლების წინააღმდეგ ყველა ის გაიმეორეს ეხლაც. ხელმეორედ დაიწყეს ლაპარაკი, რომ ქალებს რო არჩევანის უფლება მიეცეთო, ოჯახობა დაირღვევაო, ქალებს სინაზე დაეკარგებათო, კაცებისაგან რაინდულს პატივისცემას დაჰკარგვენო, საზოგადოებრივი ზნეობა დაეცემაო და სხვ. ეს რაინდული პატივის ცემა, ერთის დეპუტატის სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ კაცები უკეთეს ადგილს ქალებს უთმობენ ყველგან, სადაც კი ერთმანეთს შეხვდებიანო, დღესასწაული იქნება თუ დიდი რამ თამაშაო. ეს პატივის ცემა უპირატესობაა ქალებისათვის და თუ ამ უპირატესობის დაკარგვა არა ჰსურთო, არჩევანის უფლებისგან ხელი უნდა აიღონო.

გარდა ამისა კიდევ სხვა ბევრი უცნაური საბუთი მოიყვანეს ქალების თხოვნის წინააღმდეგ. მაგალითებრ, დეპუტატმა ჯენბერიმ ჰსთქვა, რომ თუ უქმრო ქალებს მიეცით კენჭიო, მაშინ არა ქალი არ გათხოვდებაო, არჩევანის უფლება გაუთხოვრობის ჯილდო იქმნებაო. ამავე დეპუტატმა ჰსთქვა, სხვათა შორის, შემდეგი: „თუმცა ქალები ჭკუა-გონებით კაცებს არ დაუვარდებიან, მაგრამ მათის მოქმედების ასპარეზი სულ სხვა არის. ამის გარდა სად უნდა შეისწავლონ ქალებმა ის საპოლიტიკო საგნები, რომელთ თაობაზედაც კენჭი ჩამოიტარება ხოლმე. ორში ერთი: ან ხალხში უნდა გამოვიდნენ და საპოლიტიკო ყრილობებში მონაწილეობა მიიღონ, ან არა და ახალი საპოლიტიკო მოძღვრები გამოჩნდებიან, რომელნიც ფეხს შეჰსდგმენ ოჯახობაში რომ ჩვენ ქალებს პოლიტიკა ასწავლონ. ისიც უნდა ავიაროთ, რომ საზოგადო საქმეებში მომეტებული მნიშვნელობა თან და თან ძალას ეძლევა. ამ შემთხვევაში რა შემწეობას უნდა მოველოდეთ ქალთაგან. გულის-სისუსტის პოლიტიკას ისეც დიდი გავლენა აქვს ამ ჟამად და წინადადების მიღების შემდეგ ხომ უფრო გაძლიერდება.“ აქ უფ. ჯენბერი იმ მოძრაობაზედ ამბობს, უსათუოდ, რომელიც ომის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს გულ-შემატკივარი პოლიტიკა უფ. ჯენბერს ქალურ საქმედ უცვნია.

მეორე დეპუტატმა კი ჰსთქვა, რომ თუ ქალებს არჩევანის უფლება მიეცითო, დიდად მავნებელი იქმნებაო, და აი რათ. თუ ქალები პირდაპირს მონაწილეობას მიიღებენ არჩევანში (უსათუოდ ასეც იქნება), მაშინ ოჯახობის ლაზათი დაიკარგებაო; და თუ შინიდგან გარედ არ გამოვლენო, მაშინ უცოდინარნი დარჩებიანო. ამ შემთხვევით სამღვდელოება ისარგებლებსო და ქალების შემწეობით არჩევანზედ გავლენას იქონიებსო.

ყველა ამ პირთა უპასუხა დეპუტატმა ფორსაიტმა, რომელმაც სთქვა შემდეგი:

„რაც უნდა თქვან, მაინც არც ერთი საქმე იმდენად წინ არ წამდგარა როგორც ქალების არჩევანის უფლების საქმეა წამდგარი. თუმცა ხსენებული წინადადება ქალებს არ დაიხსნის ყოვლის მწუხარებისაგან, მაგრამ იმას ხომ მიანიჭებს, რასაც თხოულობენ. ტყუილი თქმა არის ვითომ ეს წინადადება ქმრიანის ქალების განთავისუფლებასაც მოასწავებსო *). რაც შეეხება მას ვითომ ახალნი მოძღვრები პოლიტიკისა გაჩნდებიანო, ეს აზრიც უსაფუძლოა: ვითომ რა დაუშლით ქალებს იკითხონ ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვ., ე. ი. იმავე გზით ისწავლონ პოლიტიკა, რა გზითაც კაცები სწავლობენ. ეჭვი არ არის

---

*) არჩევანის უფლება, როგორც მოგეხსენებათ, ქონებაზედ არის დამყარებული. ვისაც საკუთრება არა აქვს არც ეს უფლება აქვს მინიჭებული. ინგლისში ქმრიან ქალს არავითარი საკუთრება არა აქვს. ყოველი მისი ქონება ქმარს ეკუთვნის. გასათხოვარ ქალს კი აქვს უფლება იქონიოს ყოველგვარი საკუთრება. მაინც ინგლისში გასათხოვარი ქალი უფრო თავისუფალია ვიდრე ქმრიანი. ბრაიტის წინადადებაში მარტო უქმრო ქალები არიან ნახსენებულნი, რადგანაც იმათ აქვთ საკუთრება, მაშასადამე არჩევანის უფლებაც უნდა ჰქონდეთ როგორც კაცებს. მაგრამ ბევრს ეშინიან ეს კანონი რო დავლოთ, ვაითუ შემდეგ ქმრიანმა ქალებმაც იგივე მოინდომონო. აი ამაზედ ამბობს ფორსაიტი.

რომ ქალები ისე გონივრულად მოიხმარებენ არჩევანის უფლებას, როგორც ამომრჩეველნი-კაცები.“ გარდა ამისა ფორსაიტმა სთქვა, რომ ქალები არჩევანის უფლებას იმიტომ კი არა თხოულობენო, რომ ქალები არიანო, არამედ იმიტომ, რომ საკუთრება აქვსთ და სახელმწიფოს წინაშე ხარჯს იხდიანო. ინგლისში ყველა მამულის პატრონთა შორის ქალები მეშვიდე ნაწილს შეადგენენო, ყველა ხარჯს იხდიანო და დეპუტატის ამორჩევის უფლება კი არა აქვთო. ამის გამართლება არავის არ შეუძლიანო. მე დარწმუნებული ვარო, სთქვა ბოლოს ფორსაიტმა, რომ დრო მოვა, როდესაც ამ წინადადების წინააღმდეგთა სათაკილოდ გაუხდებათ თავისი ცრუმორწმუნოება, როგორც სათაკილოთ გაუხდათ მათ, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ქალებს განათლება არ უნდა მიეცეთო.

ბოლოს წამოდგა ბრაიტი და სთქვა: „ადრე თუ გვიან პარლამენტი იძულებული იქნება კენჭი უყაროს ჩემს წინადადებას, რადგანაც ამ წინადადებას მომხრე ემატება თან და თან. გარდა ამისა უნდა მოგახსენოთ, რომ პარლამენტი ხეირიანად ვერც კი დასდებს ქალების შესახებ კანონს, თუ მათ პირდაპირი წარმომადგენელი არ ეყოლებათ პარლამენტში.“

## ომის ამბები.

წარსულს კვირას ბევრი შესანიშნავი ამბავი მოვიდა საომარის ადგილიდამ პირველი ესა რომ 5 თიბათვიდამ რუსებს ყუმბარების სროლა დაუწყვიათ ყარსისათვის.

4 თიბათვეს ღენერალ ტერგუკასოვის გუნდსა, (რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ბაიაზეთიდამ არზრუმის გზაზედ მიმოვალობს) ფერიქ მაჰმედ-ფაშის მხედრობა დაუმარცხებია ზეიდეკანისა და დალიბაბის შუა. ძალიან გაუჭირვებია რუსის ჯარსა, გაუდევნია ოსმალნი და თვით მაჰმედ ფაშაც მოუკლავთ. ჩვენ მხარეს ერთი აფიცერია მკვდარი და ოცდაექვსი ჯარის კაცი; დაჭრილთა რიცხვი ასოცია, მათ შორის ერთი მაიორი სკიოტნიცკი და 119 ჯარის კაცი, გარდა ამისა გაუკაწრავს მაიორი ნუდჟევსკი. ღენერალ ტერგუკასოვი ჰმოწმობს, რომ არტილერიას დიდი ხელოვნება და მამაცობა გამოუჩენია.

დუნაიის მხედრობის შესახებ აი რა ამბავი მოვიდა წარსულ კვირას: 9 თიბათვეს ღამით ათი როტა დუნაიის იქითა ნაპირას გადასულა ქ. გალაცის პირდაპირ და დაუჭერიათ მაღლობი, საიდამაც ოსმალები გაუდევნიათ. დილის შვიდ საათზედ ოსმალებს ხელმეორედ დაუწყვიათ ომი, მაგრამ ვერა გაუწყვიათ რა და თვითონვე უკან დაწეულან. ამ ომში ოსმალების ქვეითა ჯარის რიცხვი სამი ათასი ყოფილა და ცხენოსანისა სამასი. ჩვენ მხარეს შვიდი აფიცერია მკვდარი და ორმოცდა ერთი ჯარის კაცი, დაჭრილთა შორის ორი აფიცერია და ოთხმოცდა რვა ჯარის კაცი.

მეორე დღეს ე. ი. 11 თიბათვეს ერთი ბრიგადი (ორი პოლკი) ღენერალის ჟუკოვის წინამძღოლობით დუნაიის იქითა ნაპირას გადასულა გალაცის პირდაპირ. ამ საქმეში ჩვენს მხარეს ორი აფიცერია მკვდარი და ორმოცი ჯარის-კაცი; დაჭრილი: ორი აფიცერია და ოთხმოცდა თოთხმეტი ჯარის-კაცი.

— 10 თიბათვეს ხელმწიფე იმპერატორი გალაცში მიბძანებულა და დაჭრილები უნახავს სამკურნალოში. ხელმწიფე იმპერატორს საკუთარის ხელით წმინდა გიორგის ჯვარი უბოძებია პორუჩიკი ელსნერისათვის, რადგანაც პირველი გადასულა დუნაიაზედ და ამასთანავე დაჭრილა კიდეც.

— ორს რუსის ხომალდს გაუმარჯვნია შავ ზღვაში: კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს და ვ ლ ა დ ი მ ი რ ს (ხომალდების სახელია). პირველს დაუღუპავს ოთხი ოსმალოს სავაჭრო გემი და მეორეს ოსმალების პატარა სავაჭრო გემი მოუტაცნია და თექვსმეტი ხომალდის კაცი ტყვეთ წამოუყვანია.

— 9 თიბათვეს ღენერალი ტერგუკასოვის ატრიადს დაეცა ოსმალების ჯარი, რომელთა შორის ყოფილა ოცი ბატალიონი ქვეითა ჯარი, თორმეტი ზარბაზანი და 4,500 ცხენოსანი ჯარის კაცი. მთელს ათს საათს ომეს შეუწყვეტლივ. ბოლოს რუსებმა დაამარცხეს ოსმალები. ჩვენს მხარეს მოკლეს სამი აფიცერი (კაპიტანი ვასენკოვი, პოდპორუჩიკი პოლიაკოვი, პრაპორშჩი თ. ბებუთოვი) და 51 ჯარის-კაცი; დაჭრილთა შორის არიან: ყირიმის პოლკის უმფროსი (კამანდირი) სლუსარენკო, შტაბ-კაპიტანი იურგენსი, პრაპორშჩიკი კოლპაკოვი, მაიორი კარპინსკი, პარუჩიკი შლენევი, პოდპორუჩიკები ესიპოვი, სტაცევიჩი და ბარშევსკი, პრაპორშჩიკი ალამპინი და 363 ჯარის-კაცი.

— ღენერალ ოკლობჟიოს ატრიადი ციხის მირთან ოსმალებს დასცემიან და დიდი ბრძოლა გამართულა. ჩვენს მხარეს 11 აფიცერია მკვდარი; დაჭრილთა და მოკლულთა ჯარისკაცთა რიცხვი ოთხასია.

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**წვრილი ამბები.**—ეშველა მაკ-მაგონს: სენატის უმრავლესობა (150 თეთრი და 130 შავი კენჭი) დათანხმდა და დეპუტატთა პალატის დაშლის ნება-რთვა გამოაცხადა. სამის თვის განმავალობაში ახალი პალატი უნდა ამორჩეულ იქმნას.

ვიდრე ლეგიტიმისტებისა და სხვა მონარხიელთა შორის უთანხმოება სუფევდა ყველასთვის ცხადი იყო, რომ სენატი არ დაშლის პალატას, რადგანაც ულეგიტიმისტებოთ სენატში უმრავლესობა ვერ შესდგებოდა. მაგრამ მაკ-მაგონმა გამოაცხადა, რომ იგი სიკვდილამდის პრეზიდენტობას არ ეძებს და მომავალ არჩევანში ლეგიტიმისტებს იგივე მონაწილეობა ექმნებათ, როგორც სხვა მონარხიელთა დასის კაცებს. რა კი ეს შეიტყეს ლეგიტიმისტებმა, რასაკვირველია, არავითარი დაბრკოლება აღარ მისცეს მთავრობას პალატის დაშლის შესახებ, რადგანაც მათი გულის ტკივილიც ის იყო, რომ რითიმე ესარგებლათ მომავალში.

რა უნდათ მონარხიელებს? ძნელი გასაგებია სწორე მოგახსენოთ. თუმცა მათ ერთი მტერი ჰყავთ—რესპუბლიკა, მაგრამ მტრის განდევნის შემდეგ ხომ რისამე დადგენაა საჭირო. რას დაადგნენ,—თვითონაც არ იციან რადგანაც მათ შორის მუდამი უთანხმოება და განხეთქილება ჰსუფევს.

მაგრამ ჯერ-ჯერობით, როგორც უწინ იყო მოხსენებული, ბურთი და მოედანი ბონაპარტიელებისაა, და ესენი არასა ზოგვენ, რომ თავისი გაიტანონ და ნაპოლეონ IV აბძანონ ტახტზედ. იგინი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ რომ როგორმე შეიტყუონ ხალხი. აი მაგალითებრ, რა არის სხვათა შორის, მოხსენებული იმ პროკლამაციაში (განცხადებაში), რომელსაც ბონაპარტიელნი ხალხში ავრცელებენ: „იმპერია თავს იჩენს და ხელმეორედ ჩვენდა კანონიერ მმართველობად შეიქმნება მისი ახალგაზდა მემკვიდრე (ე. ი. ნაპოლეონ IV) ბრძოლას აპირებს თვის გაუქმებულთ უფლებათათვის. მესამე იმპერია სამხედრო სამსახურის ვადას სამ წლამდე შეამოკლებს, უკუაგდებს არა—პირდაპირს ხარკს (косвенные налоги), სამუშავო ფასს ასწევს, წმინდა ტრაპეზს (ი. ი. პაპს) მის თავისუფლებას დაუბრუნებს და სამშობლოს—დაკარგულს ქვეყნებსა (ე. ი. ელზასლოტარინგიას). იმპერია ყველაზედ უწინარეს მოტყუებულთ შვილებს საფრანგეთისას აპატიებს და განდევნის რესპუბლიკელებს და ყოველ გვარ აღმაშფოთებლებს (агитаторовъ). მეგობარნო! განთავისუფლების დღე ახლოა. მაკ-მაგონი, მხედრობა და მოხელენი ჩვენკენ არიან; მაშ მმურად მივცეთ ამათ მხარი! დაუბრუნოთ საფრანგეთს მშვიდობიანობა, სახელი, წესიერება და თავისუფლება. გაუმარჯოს იმპერატორს! გაუმარჯოს მაკ-მაგონს“!

ახლა იფიქრეთ ვინ არის ნამდვილი ხალხის აღმშფოთებელი—ამის დამწერნი ბონაპარტიელნი, თუ რესპუბლიკელნი, რომელნიც ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ როგორმე შეიმაგრონ ხალხი სამართლიანი სამაგიერო არ გადუხადონ ამისთანა განცხადების დამწერსა?

რას იქმონენ მთავრობა და მაკ-მაგონი თუ ახალი პალატი უფრო რესპუბლიკელი იქნება ვიდრე ძველი? ორში ერთს: ან სამსახურს თავი უნდა დაანებონ და ან ძალა იხმარონ. რაც შეეხება მხედრობას მისი მიდრეკილება ღმერთმა უწყის. სამხედრო საქმეთა მინისტრი კი ამბობს, რომ მხედრობა მთავრობისკენ არ იქნებაო.

— გერმანიელნი დარწმუნებულნი არიან, ადრე თუ გვიან საფრანგეთისა და გერმანიის შორის ომი ასტყდება, რადგანაც საფრანგეთში საქმე ისე მიმდინარეობსო. მაგრამ თვითონ ბონაპარტიელებიც არა მალვენ ამას და დიდი იმედი აქვთ ავსტრიისა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ თუ გრაფი ანდრაში სამსახურიდამ გამოვიდაო, ავსტრია გერმანიას გაეყრებაო და საფრანგეთსა და ინგლისს მიუდგებაო. უსათუოდ ამის გამოისობით წინასწარმეტყველებს ერთი ბერლინელი კორრესპონდენტი და ამბობს, რომ რომელიმე მოულოდნელი შემთხვევა იძულებულ გახდის ევროპას ძირეულად გადასწყვიტოს და გაათავოს აღმოსავლეთის საქმეო.

— ამ აღმოსავლეთის საქმეზედ ახალი არ ისმის რა. მშვიდობიანობაზედ ლაპარაკიც. შესწყდა. თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ თ. გარჩაკოვის მიწერილობას ინგლისთან არავითარი მტკიცე მნიშვნელობა არა აქვსო.

— სტამბოლში დიდი უკმაყოფილებაა თურმე. ყველა დარწმუნებულია, რომ არზრუმი ვერ გაუმაგრდება რუსის ჯარს, რომელიც სამის მხრიდამ ეტანება ამ ქალაქსა.

— ერთს ინგლისურს გაზეთში სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ლეიარდი (ინგლისის ელჩი ოსმალეთის წინაშე) ძალიან გაჭირებულს მდგომარეობაშიაო, რადგანაც ხონთქრის მთავრობა აღარას მოელის ინგლისისაგანაო. ოსმალეთი უფრო გერმანიას ენდობა, თუ გაუჭირდა ყველაზედ უწინარეს ბისმარკს მოსთხოვს შუამდგომლობისაო. აბა ესლა მობძანდით და გაიგეთ რამ აქ აღმოსავლეთის საქმისა. მაგრამ იქნება ამ გაზეთს ინგლისის წახალისება უნდა და იმიტომ ლაპარაკობს ასე. პოლიტიკის ეშმაკობას ვინ აყვა?

— ლონდონის პალატში ფინანსთ-მინისტრს, ნორტკოტს შემდეგი უთქვამს თურმე: თუმცა ევროპის საქმეთა მდგომარეობა ამ ჟამად მძიმეაო, მაგრამ ინგლისის პოლიტიკა კი სანდოაო, რადგანაც ყოველი ღონისძიება მთავრობისა ჩვენის ქვეყნის სარგებლობისაკენ არის მიმართულიო. თუ საჭიროება მოითხოვს ინგლისს შეეძლება მტკიცედ და თამამად ამოქმედოს თავისი საქმეო და სხვაც იძულებულ ჰქმნას, რომ ინგლისის ხმას

პატივი სცესო. რა მიმართულებაც უნდა მიიღოს საქმეთა წარმოებამ, მაინც ბოლოს ინგლისი იძულებული იქნება თვისსა და მთელის ევროპის სასარგებლოდ ფიცხი მონაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთის საქმის დაბოლოვებაშიო.

— ლონდონის პალატს გარდაუწყვეტია ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგი ისესხოს ინდოეთისათვის, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ხალხი ლამის შიმშილისაგან გაწყდეს.

— ინგლისურს გაზეთს Times-ს შემდეგი ცნობა მოსვლია სტამბოლიდამ: ამბობენ ოსმალეთის მთავრობას მოუწადინებია ინგლისს წერილით პასუხი მისცეს სუეცის არხის შესახებ. ოსმალეთს სუეცის არხი თავის საკუთრებად მიაჩნიაო და ამბობსო, რომ თუ კი შუაზღვაში შემიძლიან ვეომო ჩემს მტერსაო, ცხადიაო, რომ ჩემს საკუთარს მიწა-წყალზედაც შემიძლიანო. ოსმალეთს კარგად ესმისო სუეცის არხის ხალხთა შორისი მნიშვნელობა და ამიტომ ეცდება რომ ამ ალაგს ბრძოლა არ გაიმართოსო. ამის გულისათვის ოსმალეთი არხის შესავალში თავის ჯარს დააყენებსო, რომ რუსების ხომალდები არ შემოვიდნენო.

— სტამბოლის მდგომარეობის შესახებ ერთს ავსტრიის გაზეთში მოხსენებულია, რომ თუმცა ოსმალეთის მთავრობა ძალიან სასტიკად ეკიდებაო ხალხს უკმაყოფილობის გამოცხადებისაგამო, მაგრამ მაინც საქმე ძალიან ცუდათ მიდისო. დატუსაღება და განდევნა არამც თუ კლებულობსო, არამედ ყოველ დღე მატულობსო. ერთი კვირის განმავალობაში ორასი კაცი განდევნესო. ეს გარემოება არავის არ აშინებსო და ხალხს უფრო აშფოთებსო. ყველა მიტხად-ფაშის დაბრუნებას თხოულობსო. თუმცა მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობსო, რომ არ გამოაშკარავდეს ნამდვილი მდგომარეობა ოსმალეთის მხედრობისა, მაგრამ მისი ავ-კარგიანობა ყველამ კარგად იცისო.

— როგორც ბუხარესტიდამ ერთს ავსტრიის გაზეთში იწერებიან, „გორჩაკოვს უთქვამს ნოვიკოვისათვის (რუსეთის ელჩია ავსტრიის წინაშე) ავსტრიის მთავრობას საიდუმლოთ შეატყობინეთო, რომ მთავარი მილანის ვიზიტი (მთავარი მილანი ხელმწიფე იმპერატორის სანახავად იყო წასული პლოეშტში) მხოლოდ მართებულობისა და პატივის ცემისათვის იქმნაო და სხვა არა რა მნიშვნელობა არა აქვსო და რუსეთი თავის სიტყვას არ გადაუდგება სერბიის შესახებო. იგივე ტელეგრამმა ამბობს, რომ მაინც ბუხარესტში არა სჯერათო, რომ სერბია ომში მონაწილეობას არ მიიღებსო.

— მეორეს მხრით ბელგრადიდამ სხვა გაზეთში იწერებიან, რომ სერბია დიდ მზადებაშიაო; მთავრობას უბძანებიაო, რომ ყველა აფიცრები და მოხელენი მზად იყვნენო. სერბიის საზღვარზედ ოსმალეებსაც დიდი მზადება აქვსთ თურმე.

— გერმანიის იმპერატორს ემსში წასვლის დროს შეუყრია თურმე თავისი მინისტრები და თავისი მწუხარება გამოუცხადებია მასზედ, რომ სამღვდელოებას და სოციალისტებს რაღაც აღმაშფოთებელი მიდრეკილება დაეტყოთ და იმედი მაქვსო, რომ სიმტკიცეს გამოიჩენთ თქვენის მოვალეობის აღსრულებაშიო. უნდა მოგახსენოთ გერმანიის იმპერიას ორგვარი მტერი ჰყავს შინაობაში: კათოლიკის სამღვდელო და სოციალ-დემოკრატები. ამას დაუმატეთ, რომ შინაურობაში ყოველი სახელმწიფო გერმანიისა ცალკე მიიწევს და ერთობას როგორღაც ვერ ემორჩილება და მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ გერმანიის იმპერია მტკიცე და საიმედო ნიადაგზედ არა დგას. მაშ საკვირველი არ არის, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი შეწუხებულა მასზედ, რაც გამოუცხადებია მინისტრებისათვის.

---

## კავთობა სოფელს კურდღელაურში

(„ივერიის" კორრესპონდენცია.)

სოფელი კურდღელაური მდებარეობს ქ. თელავის ჩრდილოეთით და ისე ახლოა თელავზედ, რომ თითქმის ამისვე ნაწილს შეადგენს. ეს სოფელი გაყოფილია ორს სამრევლოდ (პრიხოდად) თავ-თავის მღვდლებით—ერთს უწოდებენ ქვემო-კურდღელაურად, მეორეს ზემო-კურდღელაურად. ამ უკანასკნელ სამრევლოში არის ეკკლესია—სალოცავი „კავთა", რომლის დღესასწაულსაც ჩვენი ხალხი წელიწადში ერთხელ იხდის. ეს დღესასწაული ყოველ წლივ მოდის პეტრეპავლობის აღების ღამის დღეს, რომელიც წელს იყო 22 მაისს. ვინ კავთა ვინ ეკკლესიის დღესასწაულიო, რა წმინდანია „კავთა" და რა მიზეზია, რომ ხალხი მას ამ სახელს უწოდებს და იმისთანა პატივსა ჰსცემს, როგორიც შეშვენის მხოლოდ წმინდანებსაო, იკითხავს მკითხველი. ამის პასუხად მე გარდავცემ მკითხველს ერთის მოხუცის ნაამბობს, რომელიც ამ შემთხვევაში ღირსია შენიშვნისა: „უწინდელ დროშიაც, როგორც ეხლა, თურმე ხშირად გადმოსახლებულან კახეთში ქართლიდგან, იმერეთიდგან და სხვა საქართველოს კუთხეებიდგან. ალბათ მოსწონდათ და მოსწონთ რამე იმათ ჩვენს ქვეყანაში, თორემ ისინი თავიანთ მამა-პაპის მიწა-წყალს ადვილად თავს არ დაანებებდნენ. ამისთანა გადმო-

სახლების დროს, რასაკვირველია, თავიანთი ყოველივე სარჩო-საბადებელი უნდა თან წამოეღოთ. ეს კი იყო, რომ ერთი მიზეზი ძრიელ აბრკოლებდა გადმოსახლებულთ. ეგ მიზეზი იყო იმათი ეკკლესიები—სალოცავები, სადაც იმათ ყამითი ყამად უნდა ეარნათ სალოცავად, როდესაც ისინი ან სიზმარს ნახავდნენ, ან მკითხავი ეტყოდათ რასმეს ამაზედ და ან თვითონ გამოიძიებდნენ თავიანთის უბედურების მიზეზს. მაგრამ ნათქვამია „გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო“, სწორედ ჩვენებსაც ესე მოუფიქრნიათ. ამის მაგივრად, რომ იმათ არ ეარნათ გასყთიდგან თავიან მამა-პაპის სალოცავებში, იმათ თურმე გადმოუღებინებიათ მამა-პაპის სალოცავის ხატისპირი და ეს გადმოღებული ხატი თან წამოუღიათ სალოცავად ახალ ადგილს. ამ სახით გადმოღებული ხატი ხიზნებისთვის ახალ სალოცავად შეიქნებოდა ხოლმე და მისის მეოხებით აღარა საჭიროებდნენ, რომ ძველ სალოცავში ეარნათ ყამთა ვითარების მოთხოვნილების დროს. ამასთანავე შემთხვევით გადმოუტანიათ ს. გავთის-ხევიდგან (ქართლშია) ს. კურდღელაურში წმინდა-გიორგის ხატი იქიდგან გადმოსახლებულებს, გვარით,—„ბაჩიძეებს“, გაუკეთებიათ პატარა ფიცრული ეკკლესია (ეს ძველი ფიცრული ეკკლესია 1870 წ. ისევ იდგა უწინდელს ადგილს და გარს აშენებდნენ ახალს ქვით-კირის ეკკლესიას, რომელიც ეხლა დასრულებულია) და შიგ დაუსვენებიათ. ეს იყო ამათი სალოცავი ხატი. რადგან ამ ხატმა ძრიელება გამოიჩინა, სხვა ხალხმაც იწყო ლოცვა და აი ეხლა მთელი თელავი, ახლო-მახლო და შორეული სოფლებიც სულ აქ დაიარებიან. ამისთანა ძლიერებამ და მლოცავის სიმრავლემ აფიქრებინა ერთს უწინდელის ხატის გადმომტანელის გვარის კაცს აშენება ქვითკირის ეკკლესიისა და კიდეც დაიწყო მისი შენება თავად გახვახოვთაგან ნაქუჩებს ადგილას. ეს იყო ივანე ბაჩიძე. როდესაც ამან ოთხ არშინზედ აიყვანა ეკკლესიის კედელი, ეს მაშინ მოკვდა და ეკკლესიაც დაუთავებელი დარჩა. ამის შემდეგ ეთხოვნა ეკკლესიის დათავება ერთს სომეხთაგანს, მაგრამ საქართველოს არქიერს ნება არ მიეცა, როგორც ამბობენ, . . . . . . . . . . 1871 წ. ერთმა უბანმა ს. კურდღელაურისამ იითავა დასრულება დაწყობილის ეკკლესიისა და კიდეც შეასრულა თავის წადილი 1876 წ. ეხლა ეკკლესია მზათ არის, მხოლოდ კანკელი არა აქვს“. ამით გაათავა მოხუცმა თავის საუბარი. რომ გავთობა უბრალო დღესასწაული არა ყოფილა კახელებისათვის, სხვათა შორის, ჩანს იქიდგან, რომ ამ ეკკლესიაზედ და სალოცავ ხატზედ მიუქცევია ყურადღება ჩვენს ბატონიშვილს, თეიმურაზ გიორგი მეფის-ძეს. ამის შემოწირული მდიდრად შემკული ხატი ასვენია ეხლა გავთის ეკკლესიაში უწინდელის უბრალო ფიცრის ხატის მაგიერ. აი ამ ხატს რა აწერია ზურგზედ: „წმინდა ესე ხატი მთავარ-მოწამისა გიორგისა, შევამკევ მეფის გიორგის-ძემ თეიმურაზ. და შთავასვენე ამას შინა სისხლი წ-ისა გიორგისა. და კახეთს თელავი კურდღელაურში, რომ მცირე გავთის წმინდის გიორგის საყდარი არის იმისთვის შემიწირავს. იქ დასვენდეს ჩემს მოსახსენებლად, მეუღლისა ჩემისა მეფის ასულის ელენესა, ვითხოვ ყოველთაგან რომ ამ საყდარს გავთისას ამ ხატს ნურავინ მოაშოროებს:—წელსა ქ-სით ჩყმდ. მაისის კა. მოქცევასა მეათოთხმეტისა ქორონიკონისასა. ფლობ:—“ ხატს აწერია ზემოდგან თავზედ ქართულად „წ. გ-ის ხატი.“ და რუსულად: „**С. Му. Геор.**“ ოთხსავ კუთხივ ამ ხატს აქვს 4 ზურმუხტის თვალი, **3** იაგუნდი, 4 ფირუზი და 7 ალმასი. თვით ხატი არის ოქროსი, სიგძე აქვს ორკოჯ—(ვეშოკ) ნახევარი, სიგანე—ორკოჯს ცოტა ნაკლები. მე მითხრეს, ვითომც ეს ხატი გამოეგზავნოს თეიმურაზ ბატონიშვილს პეტერბურგიდამ ილია ჩოლაყაშვილის (რომელიც **11** მაისს გარდაიცვალა ომში დაჭრილობისაგან) ხელით.

დღესასწაული თავის დროს გატარებით არ ყოფილა შესანიშნავი. თუ რამე მნიშვნელობა აქვს ამას, უფრო თელაველებისათვის, რადგანაც აქედგან ბევრი ხალხი მიდის იქ უფრო სასეირნოდ, ვიდრე სალოცავად. ეკკლესიის პატარა ეზოში დღესასწაულის წინა დღეს საღამოთი თქვენ ჰხედავთ ორიოდე ურემს სოფლელის მლოცავებისას, ქოხების მზადებას სომხებისაგან მეორეს დღისათვის, ცოტაოდენ ხალხს თელავიდგან და კურდღელაურიდგან. მიკიტანს ჯერ ყურს არა ვინ უგდებს, თუმცა ეს ხალისიანად იწვევს სტუმრებს. მეორეს დღეს ეს სურათი ცოტათი იცვლება. მთელი ეკკლესიის ეზო სავსეა ხალხით, ორიოდე ადგილიდგან ისმის ქალების დაირა და კაცების სიმღერა და ლხინი. სამიკიტნოში ოციოდე კაცი ზის ჯგუფ-ჯგუფად. იმათში მომეტებული ნაწილი თელაველები არიან. ესენი უმეტესად კუჭის გავსებას ცდილობენ, ვიდრე ლხინით დროს გატარებას. მომეტებული ნაწილი ქალებისა და კაცებისა უქმად დგანან და იყურებიან. მოვაჭრე ხალხს მაგრე რიგად ყურს არავინ უგდებს. დაბალი ხალხი მომეტებულად გარს ეხვევა მრგვალ სტოლებს რომლებზედაც უბრალო ნივთები, აწყვია და რაღაცაა ლატარიასავით გამართული. საწყალს გლეხს ჰსურს თავის ბედი ჰსცადოს და რომელიმე ძვირფასი ნივთი მოიგოს, მაგრამ უბედური ვერა ხედავს, თუ რა ნაირად მოტყუებულია. ვინ უგდებს ამას ყურს, დროს გატარება გახლავთ. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ხალხს ანუ მლოცავს არ ეტყობა მხიარულობის ნიშანი; ხალხი რაღაც გულ ჩათხრობილია. კურდღელაურელების შესახებ ეს ადვილად შეიძლება აიხსნას, რადგან ისინი

ამ ცოტასანში ძრიელ დაისეტყვნენ, მაგრამ სხვაზედ რაღა მოქმედებდა? მაგრამ რა?. . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . .

ამისთანა დროს ზნეობას და სასოებას მაინც უნდა ქონდა თავი. მაგრამ ამის შესახებ აი რას ვხედავთ აქ: მლოცავი ეკკლესიასთან; მომეტებული ნაწილი ეკკლესიაში არც კი შედის და თავის ზნეობითს ვალს იმით ათავებს, რომ ეკკლესიის კარებთან ხელს უაზროდ აფათინებს გულზედ, ვითომც და პირჯვარს ვიწერო. ეკკლესიაში შესდიხარ, იმ იმედით რომ აი აქ მაინც მლოცავებს ნახავთ და ამასთან შესაფერს წესს, სიწმინდეს, კრძალულებას. ეკკლესიაში ჯერ კანკელი არ არის გაკეთებული; საკურთხეველში ჭურია ცხვრის ტყავები, რომლებშიაც არის გახვეული მღვდლის ულუფა ანუ ეკკლესიის შესაწირავი—ცხვრის მხრები; იქვე ასვენია ტიკი ზედაშისათვის და სხვა ამ გვარი ხარახურა. ნუ თუ სხვა ადგილი აღარ იპოვებოდეს ამისთანა შესაწყევრის შესანახავად, თუ არ ეკკლესია და უპირველესი მისი ნაწილი საკურთხეველი!...

ეკკლესიაში დგას რამდენიმე ქალი და კაცი; აქვე დგას ერთი ადგილობრივი თავადთაგანი. ამან სთქვა ორიოდე სიტყვა იმაზედ, რომ ეს ეკკლესია აქამომდის უნდა გათავებული ყოფილიყო და ნაკურთხიც. მაგრამ, საუბედუროდ, ადგილობრივი ბლაღოჩინი ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევს, რომლის მიზეზით ეს საქმე აქამდის დარჩომილია. ამანვე სთქვა, რომ გლეხების თხოვნის თანხმად უთუოდ ამ საქმის შესახებ ეტყვის ორიოდე სიტყვას ადგილობრივ ბლაღოჩინს, როდესაც ეს უკანასკნელი მოვა ეკკლესიაში. მართლაც ბლაღოჩინის მოსვლის შემდეგ მოსვლიათ ისეთი გაცხარებული ლაპარაკი ბლაღოჩინსა და ამ თავადს, რომ ეხლა ამაზედ თელავში ყველა კუთხეში ლაპარაკობენ, ზოგი ასე ჰსჯის, ზოგი ისე. რადგანაც ყველანი ელიან და თვით მეკამათენიც იქადიან, რომ ამ საქმეს ისინი შინაურულად არ გაათავებენ, არ იქნება უსარგებლო მოკლედ გამოვხატოთ იმათი ჩხუბის საგანი ისე როგორც შევიტყვეთ თვით მეკამათეთაგან და ახალის ამბის მოყვარეთაგან.

დილის თერთმეტს საათზედ შემოდის ზემორე აღწერილს ეკკლესიაში გაოფლიანებული ბლაღოჩინი შუბლის წმენდით. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ზემორე აღნიშნული თავადიც. „რატომ კანკელი არა აქვს გაკეთებული ამ ეკკლესიას აქამდის? ჰკითხა თავადმა ბლაღოჩინს.

— ამისთვის რომ ფული არ გახლავთ, უპასუხა ბლაღოჩინმა.

— რა უყავით 170 მ. ეკკლესიის ფული, რომლითაც კანკელი უნდა გაგეკეთებინათ?

— მე შევჭამე, ვითომ ხუმრობით და დაცინვით მიუგო ბლაღოჩინმა.

— მართლაც რომ თქვენ შესჭამეთ და აქამდის თქვენის მიზეზით კანკელი გაუკეთებელი რჩება.

— თქვენ ამ საქმეში ხელი არა გაქვსთ და არც ამ ეკკლესის მრევლი ბრძანდებით, რომ მაგისთანა განჩილვაში შემოდიხარ.

— მე აქაური მცხოვრები ვარ და ჩემი მოყმენიც აქ სცხოვრობენ. მე სრული ნება მაქვს ხმა ამოვიღო ამ საქმეზედ და მოვითხოვო შენგან ანგარიში, მით უმეტეს, რომ თვით აქაურ მცხოვრებთ ჰსურთ შეიტყონ, თუ რატომ არ აძლევთ ამათ კანკელისათვის დანიშნულს ფულს და ან თვით თქვენ რატომ არ აკეთებინებთ კანკელსა.

— შენ თუ ტაძრები გიყვარდეს და იმათთვის ზრუნავდე, უთუოდ არ გაჰყიდდი შენს კარის ეკკლესიას, შენ ეკკლესიის თავი ვინ მოგცა და ან იმის განშვენებაზედ ზრუნვისა.

ამაზედ შეჰყოლიან და კაი ლაზათიანი ჩხუბი გაუმართავთ შიგ ეკკლესიაში.

ბლაღოჩინს მეტად ხმა აუმაღლებია და ადგილის შეუფერებელი სიტყვა უხმარია, ამბობენ. ბოლოს დაუყვირნია თავადისათვის: „შენ ნება არა გაქვს ეკკლესიაში ამ გვარად ლაპარაკისა—გადი გარში!“ ამასთანავე უბრძანებია ადგილობრივის მღვდლისათვის, რომელსაც ამ დროს, როგორც ამბობენ, უმაწვილი უნათლავს, რომ თავი დაანებოს ნათლობას (ბლაღოჩინი რომ ჩხუბობდეს, უმაწვილის რა ბრალია ან რომელი ტიპიკონი ანუ კანონი მოითხოვდა იმას, რომ ამ მღვდლისათვის, რომელიც საიდუმლოს აღასრულებდა და ჩხუბში არაფერს მონაწილეობას არ იღებდა, მაჩხუბარს ბლაღოჩინს გაეწყვეტინებინა საიდუმლოს აღსრულება.) ჩემის ფიქრით, მღვდელს პასუხი უნდა მიეცა, რომ მაშ ბლაღოჩინო, თქვენ თვითონ, როგორც მაჩხუბარს და წესიერების დამარღვეველს, შეგიძლიანთ მიბძანდეთ გარში და ჩვენ მაშინ დამშვიდებით აღვასრულებთ ჩვენს საღმრთო ვალს“.

ჩხუბი გათავდა ორივეს მხრით, იმით რომ ერთმანერთს ჩივილს დამუქრებიან. ამბობენ ვითომც ბლაღოჩინს კიდეც შეეტანოს ამაზედ საჩივარი ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლესთან.

ეს შემთხვევა, როგორც ჰხედავს მკითხველი, სხვა დროს, სხვა ადგილს და სხვა პირის შესახებ რომ მომხდარიყო, რასაკვირველია ყურადღების ღირსი არ შეიქნებოდა, მაგრამ ეხლა კი ამას თავის ღირსეული ფასი უნდა მიეცეს, რადგან ეს ამბავი მოხდა ეკკლესიაში, როცა ეკკლესიაში მლოცავნი იყვნენ და მღვდელი ნათლობის საიდუმლოს აღსრულებდა, მოხდა თვით ბლაღოჩინისაგან იმ კაცის წინააღმდეგ, რომელმაც მრევლის მაგიერ ხმა ამოიღო კანკელის თაობაზედ. ჩემის ფიქრით, საქმე ამ გარემოებაშია.

თავადი ამ შემთხვევაში გამოსულა შუამდგომელად ხალხისა და ბლაღოჩინის შუა. ეს შუამდგომლობა, საქებია და არა განსაკიცხავი.

---

## ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.*)

(შემდეგი).

**III.** ძველნი და ახალნი მკვიდრნი მოსახლენი პონტოს სამეფოსი, მონათესაობა მათი საქართველოს ერთან და იგივეობა იმათის ენისა.

პირველ უწყებასა ხალხთათვის, რომელნიცა მკვიდრობდნენ პონტოს სამეფოში და კოლხიდას, გვცნობთ ჩვენ ქსენოფონტის წიგნისაგან, ცნობისა სახელსა ქვეშ ანაბაზის, ე. ი. უკან დაბრუნება ათი ათასის ბერძენთა მხედართა. ქსენოფონტი ჰსცხოვრებდა 200 წლის წინათ ქრისტეს შობისა, გამოიარა მთლად ჯერ კოლხიდის ადგილები და მასუკან პონტოს სამეფოსი და აღსწერა მკვიდრნი მოსახლენი და ადგილები დაწვრილებით და გასაოცებლის სისწორით. შემდგომნი ბერძენთა მწერალნი მხოლოდ განამეორებენ მის უწყებათა; ამისთვის ვრაცხე საჭიროდ, რაც შეეხების ხალხთა ან ამ ადგილების აღწერასა შემოკლებით განვიხილო, ქსენოფონტ მოუთხრობს:

„ჩვენ რომ გავიარეთ სათავე ტიგრის მდინარისა, სამის ახმით, მივედით თელებოას (1) მდინარის ნაპირა, სადაცა სახლობენ სომეხნი, ყმანი ტირიბაზისა, მთავრისა ფაზიანთა და ჰესპერიტთა, (2) რომელიც იდგა აქ თავის მხედრობითა და გვიპირობდა ომსა. ჩვენ რომ დავუსხლტოდით ბარბაროზთა შეეშინდათ და გაიქცნენ. ამითი გაგვიადვილდა ჩვენ წინამდებარე გზა, თუმც სიცივემ და თოვლმა ძალიან შეგვაწუხა, გავედით ეფრატის მდინარესა და მივედით ფაზის მდინარის ნაპირსა (1), სადაცა მრე ვექმენით ხალიბთა, ტაოხელთა და ფაზიანელთა; ამის შემდგომ შევედით ქვეყანასა ტაოხელთ და მასუკან ხალიბთა. ხალიბები არიან შემმართებულნი და უშიშარნი ომისა, ტანზედ აცვიათ მოკლე კურტაკი, წვივზედ პაიჭები, თავზედ ჰხურავთ ზუზი და საომრად სახმარნი იარაღნი აქვსთ: ხანჯალი, შუბი და წელზედ ჰკიდიათ თოკები (2). ხალიბები იყვნენ ჩასაფრებულნი მთებში და ძალიან გვავნებდნენ. გავედით რა ჰარფასის მდინარესა (3) მივედით ქალაქსა ღიმნიას. (4) ამ ქალაქის მთავრმან მოგვცა ჩვენ ეტიკი, რომელმან მიგვიყვანა ტიხის მთამდე (5); ამ მთის ქედიდამ დავინახეთ პონტოს ზღვა და შეგვექმნა სიხარული, რიგიანად დავასაჩუქრეთ ჩვენი ეტიკი და გავედით მაკრონების ქვეყანაში. მაკრონებსა საჭურველად ჰქონდათ: ხის ფარი, შუბი და იყვნენ მოსილნი ნაბდებითა. ჩვენს მხედრობაში იყო ერთი მეომარი ნათესავით მაკრონი(6) რომელიც გავგზავნეთ მოსალაპარაკებლად მაკრონებთან, რომ ჩვენ უვნებლად გაგვიშონ და საგზალი მოგვცენ. მაკრონებმა სიხარულით აღასრულეს ჩვენი თხოვნა, მოგვცეს საგზალი და გვიჩვენეს გზა, შეგვიყვანეს კოლხიდაში, რომელიც ძალიან მოშენებული არის, და დაუსხლტოდით ტრაპეზუნსა. ტრაპეზუნი არის ქალაქი შავის ზღვის პირზედ, აშენებული მოვაჭრეთა ბერძენთაგან კოლხელების ქვეყა-

*) „ივერია“ № 15.

(1) თელებოას მდ. ერთვის ეფრატსა, ნახე ტექსიეს კარტები.

(2) ფაზიანი ქართველთა ბასიანი, ჰესპერიტი ქართველთ ისპირის ხეობა.

(1) ფასის მდ. აქ არეზის მდინარეა, რომელსაც დასაბამი აქვს ბასიანში და არა ჭოროხი, მისთვის, რომ ამ მდინარეს რომ გავიდა, შევიდა ტაოს ქვეყანაში, სადაც ჰდის ჭოროხი.

(2) როგორც ახლანდელს გურულებს.

(3) ჰარფასი არის ისპირი, ერთი ტოტი ჭოროხის მდინარისა და არა არბახ., როგორც ჰგონებს აი ინგლისის მწერალი აინსვორტი და ვივიენ სენ მარტენი, გვ. 321 ტომი I.

(4) ღიმნიას ქალაქი, აწ ჯიმილი და არა ჯინისი, რომელიც მდებარეობს მახლობელ არზრუმისა, როგორც ჰგონებს აინსვორტი ან ვივიენ სენ მარტენი. ჯერ არზრუმს გაივლიან და მასუკან ტაოს ქვეყანაში შევლენ, აქ კი წინაუკუღმად არის, ჯერ ტაო გაუვლიათ და მასუკან არზრუმს მისულან. ქსენოფონტს უკეთ ჰცოდნია ეს ადგილები ვიდრე განათლებულთ ევროპიელთა.

(5) ქართული სახელი ტიხა, ტიხის მთა აწ ჭარანტაში ნახე ტექსიეს კარტები.

(6) მაკრონები არიან სანი ან ჭანები. სტრაბონის წიგნი 12. ამითი ჰჩანს რომ ტაოხელნი, ხალიბნი და ისპირის ხეველნი იყვნენ ქართველნი და მაკრონი ჭანნი; მხედარმა იცოდა ჭანური ენა, და არ იცოდა ქართული, რომ ელაპარაკნა ქართველებთან.

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

ნაში. ამ ქალაქის მცხოვრებმა კარგათ მიგვიღეს, სულადს ვჰშოულობდით დრილებისაგან (1) და ვინც უძლური და დაჭრილი იყო ჩავსხით ნავებში და გავისტუმრეთ საბერძნეთში, სხვანი, ვისაც ღონე ჰქონდა შევუდეგით გზასა ზღვის ნაპირზედ და მივედით კერასუნს, ქალაქსა, რომელიც იყო დაარსებული კოლხიდაში, იქ დავისვენეთ რამოთონიმე ხანი; იქიდამ გადავედით მოსინაკთა ქვეყანაში. მოსინაკებს მაშინ ჰქონდათ ერთმანერთში ბრძოლა, ჩვენ უშველეთ ერთ მებრძოლსა მხარეს, მრე ვექმენით მოპირდაპირეთა. ავიღეთ მათი ტახტის ქალაქი, სადაცა ვჰპოვეთ მრავალი სანოვაგე. მოსინაკნი არიან მოქერაონი, ტანადნი, ბრგენი, იღებენ ტანსა სხვისა და სხვისა ფერითა და განსცხრებიან ავხორცობით აშკარად, თავზედ ჰხურავსთ რკინის ზუჩები, ტანზედ აცვიათ მოკლე კაბა, საომარი იარაღი აქვსთ: ხის ფარი, ხელ-შუბა და ორპირი ნაჯახი. მოსინაკების შემდგომ ზღვის პირზედ ჰსცხოვრებენ ხალიბნი და მათ შემდგომ ტიბარენნი, მახლობელ ქალაქისა კოტიორა. ტიბარენთა ადგილი არის ვაკე და მდიდარი ნაყოფიერებითა," და სხვანი.

პირველი ხალხი, რომელიც მოიხსენებს ზემოხსენებულს განსილვაში, არის ფაზიანი, ქართველთა ბასიანელი. ბასიანსა, როგორც ჰსჩანს ქსენოფონტის აღწერისაგან, ჰრწყავს მდინარე არეზი, რომელიც ადგილის გამო ისახელებოდა, აწცა ისახელების ფაზის მდინარედ (ფასინ სუ ოსმალთა). მცხოვრებნი ბასიანისა ან ფაზიანნი ქსენოფონტისა (2) არ ეკუთნოდენ ნათესაობით არცა საქართველოს ხალხთა, არცა სომხისა(3) და ჰეროდოტის დროს იწოდებოდნენ ალაროდიანად (4). ვახუშტი თავის საქართველოს აღწერაში ჰსწერს, რომ ეს ადგილი წინაპირველად ეპყრათ სომეხთა, მათ შემდგომ დაიმონეს ბაგრატიონთა და შემოაერთეს სამცხესა და მუნიდგან ეკუთვნის საქართველოს (5). აწ ბასიანი შეადგენს არზრუმის ქვეყანასა.

მეორე ხალხი ხსენებული ქსენოფონტესაგან არიან ტაოხნი ე. ი. ტაოელნი, ან ტაოს მცხოვრებნი (6). ტაო, ცნობილი საქართველოს თემი, აწცა მდებარეობს მარცხნივ ნაპირსა ჭოროხის მდინარისა, გარნა მარჯვნივ ნაპირზედ

(1) დრილები არიან ჭანელები ან სანები, როგორ ამტკიცებს არრიენი, გვერდი 54, 55.

(2) წიგნი 4 §. 6.

(3) სტრაბ. წიგნი 12 თავი I. § 1.

(4) ჰეროდ. წიგნი 3 § 90 94.

(5) ვახუშტისა გამოც. უფ. ბროსეტისაგან გვ. 120.

(6) ქსენ. წიგნი 4 § 7.

იყო არტანუჯის საერისთაო. უპირველესი ქალაქი ტაოში იყო და აწცა არის ოლთისი; ტაოსი ჰრწყავდა თორთომის მდინარე, ტოტი ისპირის მდინარისა: სამზღვრად ჰქონდა ჩრდილოეთით მთები, რომელნიც შეუდგებიან ისპირის ხეობას და სამხრეთით ირაჯლუს მთა (აწ კარგა ბაზარი და მოსხის მთა), რომელიც გაჰყოფდა ტაოს ბაზიანისაგან. აქ სათანადო არის შენიშნვა რომელ კიპარტის ქარტებზედ ჭოროხს სახელს ჰსდებენ ისპირის ხეობად, და ნამდვილს ჭოროხსა თავასუდ და ოლთისსუდ, წინააღმდეგ ძველთა მწერალთა და ვახუშტისა აღწერისა (1). მას ზევით მდებარემდა სპერი ქართველთა მწერალთა ისპირის ხეობა; ტაო და სპერი შეადგენდნენ კლარჯეთის საერისთოსა. (2)

აწინდელთა სომხების მწერალთა ჰგონიათ, რომ ორივე ეს თემი, ე. ი. ტაო და სპერი ეკუთნოდათ მათ და იყვნენ მუნ მკვიდრნი მოსახლენი; ეს აზრი ტყუილია, ძველნი მწერალნი თვით სომეხნი ამტკიცებენ წინააღმდეგსა (3). აქ არ იყო სომხობა, ეს იყო ნამდვილი საქართველო, სახელ-ედებოდა ზემო ქართლი და არა სომხითი. აწცა იწოდების ოსმალთაგან გურჯის ტანად და მკვიდრნი მოსახლენი არიან გათათრებულნი ქართველები, რომელთაც არ დაუვიწყნიათ ქართული ენა.

აქ გამოჩნდნენ პირველად ბაგრატიონები, ეს იყო მათი სამშობლომამული. სომხებსა ჰგონიათ, რომ რაც ბაგრარიონებს ეპყრათ მამული და ადგილები იქ სულ სომხობა იყო,—ამაზედ ძალიანა ჰსცდებიან: ჯერ თვით ბაგრატიონები არ იყვნენ სომხები. მოსე ხორენაცი მოუთხრობს რომ „შამბა (სუმბატ) ბაგრატიონი, თავის ნებით შევიდა მფარველობას ქვეშე ვალარშაკისა სომეხთა მეფისა, რომელმან ნამსახურობისათვის უბოძა ერის-

(1) ვახუშტის ქარტა და აღწერა, გვ. 120. ისპირის მდინარეს ქსენოფონტი ახსენებს ჰარფასად. ნახე ზევით შენიშნულობა.

(2) სპერი, ან ისპირი ცნობილიყო ძველთა მწერალთაგანცა; ჰეროდოტე უწოდებს ჰესპერად, ან საპირად.

(3) მოსე ხორენაცის ღეოღრაფია,. სენ-მარტენის ნათარგმნი. ტ. 2, გვ. 357, სადაც კლარჯეთს ეწოდება გეხარდი; ვარდანის გეოგრაფია სენ-მარტენის ნათარგმნი გვ. 427, სადაც სინათლით ამბობს რომ დაიკი, ე. ი. ტაო, ეკუთვნის იბერიას და მოუდის ისპირის მდინარე.

თობა დასავლეთის მხრისა, სადაც არ ლაპარაკობენ სომხურად (1)." დასავლეთი სომხითისა არის: ბასიანი, ტაო, სპერი, არტანუჯი, და სხვ. რომ ბაგრატიონები არ იყვნენ სომხები და არცა ჰრწმენათ სომხებს სარწმუნოება მოსე ხორენაცი მრავალჯერ განამეორებს. ჩვენი ცხოვრება მოუთხრობს რომელ ბაგრატიონნი, ჩამომავალნი დავით წინასწარ-მეტყველისა და მეფისა მოვიდნენ IV საუკუნეში (2) ეკლეცად. და ნათელ-იღეს ხელითა რაქილ დედოფლისათა (3). ჭეშმარიტად პირველი ბინადრობა ბაგრატიონთა ამ ადგილებშია და არა სომხითში, ეს იყო, როგორცა ვჰსთქვით, მათი სამშობლო ქვეყანა. შემდგომ ქართლისა და კახეთის დაპყრობისა არაბთაგან ქართველობა განძლიერდა ამ ადგილებში. მეშვიდე საუკუნეში ქართველებმა, დავით გარესჯის უდაბნოს მაგიერად, აქ დააფუძნეს ოლთისის მონასტერი, თავი და დასაბამი სამღვთო და საეროთა სწავლათა, აქ განვჰრცელდა, წინააღმდეგ მაჰმადიანობისა, ქრისტიანობის სარწმუნოება, ასე რომ IX საუკუნეში აქ იყო 31 სამღვდელო-მთავრო საყდარი ან ეპარხია: მაწყურელი (აწყვერში); კუმურდოელი (კუმურდოისა ან ჯავახეთისა); იშხნელი (ან სპერისა); ანჩელი (აჭარისა); მტბევარი (ტბეთისა ან შავშეთისა); წურწყამელი (წურწუმისა); წყაროსთველის (ფოსოჩუღურეთისა); კალაშვერთელი, ანელი, კარელი (კარი და ოლთისი); ბანელი (ტაოსკარი და ფანასკერტ); დადაშნელი (კოლა და არტაანი); ამათ გარდა ბაიბერთის ახლოს აშენებული იყო ხახულის მონასტერი. ეს იყო სამშობლო ქვეყანა ჩინებულთა სამღვთო მწერალთა, წმინდათა მამათა იოანესი, ევთვიმისა, გიორგი მთაწმინდელისა, გიორგი ოლთისელისა და სხვათა მრავალთა, რომელთაც ხელ ახლად გვითარგმნეს სამღვთო წერილები. აქ იშვა ერისთავი თორნიკი, აღმაშენებელი დიდის ივერიის მონასტრისა ათონის მთაზედ, აქ გამოჩნდნენ უწარჩინებუ-ამბავთა მწერალნი და მოშაირენი, ვითარ: შოთა-რუსთველი, სარგის თმოგველი, აბდულ მესსია შავთელი და სხვანი.

მესამე ხალხი იყვნენ ხალიბნი. ქსენოფონტი ორჯელ მოიხსენებს ამ ხალხს, პირველად, ვითარცა მცხოვრებთა, ტაოელთ შემდგომ, ისპირზედ, და მეორედ შავის ზღვის პირზედ მახლობელ კერასუნის ქალაქისა. სტრაბონი ჰგონებს რომ ხალიბები ის ხალხნი არიან, რომელთაც უმიროს (1) სახელჰსდებს ჰალიზონად, ან ალაზნელად (2), აქ მოსუსულან ადგილიდამ პალიბე, სადაც იპოვება ვეცხლის მადანი. ვივიენ სენ-მარტენი გვაუწყებს (3), რომელ ჰალიზონები აწ ალაზნელები იყვნენ აქ მოსულნი და დასახლებულნი თერმადონის მდინარის პირზედ, ტროადის ბრძოლის უწინ. უფ. დუბოა (4) დარწმუნებით ამბობს, რომ ხალიბები ან ჰალისონები, ან ალაზნელები ჰსცხოვრებდნენ წინაპირველად ალაზნის მდინარის ნაპირზედ კახეთში. ეს აზრი დასაჯერებელია პირველად ამიტომ რომ ძველნი მწერალნი, მაგალ. სცილაქს კორიანდელი (5) და პლინი (6) ჰსწერენ, რომ ხალიბები მოსახლეობდნენ როგორც აქ პონტოს სამეფოში, ისე ქართლში,—და ამითი ჰჩანს რომ იყვნენ ერთი და იგივე ხალხი. მეორე,—მცირეს აზიაში აწცა იპოვებიან მრავალნი სახელნი მდინარეთა, ქალაქთა, ადგილთა, რომელნიც იხილებიან საქართველოშიაც, მაგალ. ქიზიკი ქალაქი მდებარე მარმარილოს ზღვის პირზედ და ქიზიყი, მდებარე კახეთში; ქუთაის ქალაქი, მდებარი ფარსაკის მდინარის სათავეზედ, და ქუთაისი იმერეთისა; მდინარე ენგური რომელზედაცა ჰსდგას ქალაქი ანგორა ან ენგური და მდინარე სამეგრელოსი ენგური; ონის ქალაქი შავის ზღვის პირზედ მახლობელ ჰალისის ან კიზილერმაკის შესართავისა და ონი იმერეთში; ჰალიზი ან ალაზანი და ალაზანი კახეთში და სხვანი მრავალნი.

მეოთხე ხალხი ქსენოფონტისა არიან მაკრონნი, სტრაბონი ამბობს რომელ მაკრონები იმის დროს იწოდებოდნენ სანად (7), რომელთაც პლინი (8) სახელ ჰსდებს

---

(1) მოსე ხორენაცი ებინის ნათარგმნი გვერდი 79.

(2) უფ. ბროსსეტის ქართლის ცხოვრება.

(3) ეკლეცი არის ეკესიერი სცილაქსისა, აწ ლახისტანი და არა აქცილინა, როგორც მოუთხრობს უფ. ს. მარტენი.

(1) სტრაბონი წიგნი 12, თავი ორი, § 19 და 21; ილიადასტისი 856, 857.

(2) ე. ი. მცხოვრებნი ჰალიზის (კიზილერმაკი) ან ალაზნის მდინარის ნაპირზედ. სტრაბ. მუნვე.

(3) მცირე აზიის აღწერა, ტ. 1. გვერ. 250, 251.

(4) მოგზაურობა ტომ. 4, გვერ. 133, 139.

(5) დუბუას ძველი ქარტები ატლასში

(6) წიგნი თავი 6, 10.

(7) სტრაბ. წიგნი 12, თავი 2, §. 19.

(8) წიგნი 6, თავი 3.

სანად გენიოსად, არიანი ტანად (1) და ვიზანტის მწე-რალნი ტცანად (2). ყველამ ვიცით რომ ბერძნებს არა აქვსთ ასო ჯ. ამისთვის ჯ მაგიერად ზოგს უხმარია „ს“ ზოგს „ტ“. ზოგს „ტც“. სანი ან ტანი ან ტცანი არის მაქართველებისა ჭანი (3). ღეროდოტიც მოიხსენებს მაკ-რონებსა და მოუთხრობს, რომ მათ ჰქონდათ ჩვეულება წინადაცვეთისა, როგორც კოლხიდელებსა (4), სტილაქსი უწოდებს მაკრონებს მაკროცეფალი (5). მაკრონები სახ-ლობდნენ ჭოროხის მდინარის მარცხნივ ნაპირზედ, სადაც ახლა ლაზები დგანან (6), და მარჯვნივ ნაპირი ეჭირათ იბერიელთა. ქსენოფონტის აღწერა ამას სრულებით ეთან-ხმება. როდესაც ქსენოფონტი ჰარპასის მდინარეს გავიდა (ისპირის ხეობა), და გადიარა ნაჭილობევის მთები, რო-მელნიც აწცა განსაზღვრენ ჭანეთსა სამცხისაგან, მაშინ შევიდა მაკრონების ქვეყანაში, რომელიც ამ სახითმდება-რებს მარცხნივ ნაპირსა ჭოროხის მდინარისა. მაკრონებს, ე. ი. ჭანებს, რომელნიც ჰსახლობდნენ მთებში, უწოდებს ხეპტაკომედად (ე. ი. შვიდი კოშკი), და დაუმატებს, რომ ხეპტაკომეტებსა ძველად ერქვათ მოსინაკები ე. ი. კოშკებზედ ან ბურჯებზედ მცხოვრებნი (7); ამისაგან ჰსჩანს რომ მოსინაკები და მაკრონები ერთი და იგივე ხალხია, ჭანად წოდებულნი. ამას გარდა სტრაბონი გვა-უწყებს რომელ სანებმა (ჭანელებმა) მოსრეს სამი გუნდი რომაელთა მხედრობისა, მიდრიდატის დიდის ომის დროს პირის პირ რომაელთა. იუსტინიანე იმპერატორის დროს შევიდნენ მორჩილებას ქვეშე ვიზანტიისა და მიიღეს ქრისტიანობის სარწმუნოება.

მეხუთე ხალხი იყვნენ ტიბარენნი, სახლობდნენ ვაკე ადგილებზედ, გარემოს თერმეს მდინარისა, მახლობელ კოტიორას (აწ ორდუ) ქალაქისა, შეიმუშავებდნენ მიწასა და ჰყვანდათ მრავალი საქონელი, წესი და ჩვეულობა ჰქონდათ მსგავსად იბერიელთა (8). ტიბარენნი, ხალიბები სახლობ-დნენ როგორც აქა, ისე სამცხეში და ქართლში (1). სამღვთო წერილში და ჰეროდოტის აღწერაში მოსხნი და ტიბარენნი ან თობალი ერთად მოიხსენებიან, ვითარცა ერთად ერთი ხალხი (2). ვიზანტის მწერლები არ მოიხ-სენებენ ამ ხალხსა, რადგანაც მათი სადგომი ადგილები იმ დროს ეჭირათ ჭანელებსა.

დავით ჩუბინოვი.

(შემდეგი იქნება)

(1) არიენის აღწერა შავის ზღვისა, გამოც. გოფმანისა

(2) სტრიტერის მატიანე ტ. 4 გვ. 220, 225, 226.

(3) ჭანი ქართულად ნიშნავს გამხდარსა, ჭნავსა.

(4) ღეროდ. წიგნი 2, § 104.

(5) დუბუას ძველი ქარტები ატლასში. მაკროცეფალი, ბერძნ. გრძელ თავიანი.

(6) სტატისტერის მატიანე 4 ტ. გვ. 395.

(7) წიგნი 12, თავი 2. §. 19.

(8) სტრაბ. ტ. 1 გვერდი 484.

(1) ჰეროდ. წიგნი 3. § 94; სტილაქს კორიანდელი, დუბას ძველი კარტები ატლასში.

(2) დაბად. მესაქმეს წიგნი თავი 10 მუხლი 2; ეზე-კიის წინასწარ-მეტყველება თავი 27, მუხლი 13—21; გვალად 32—26; 38—2.

## ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს *)

უფ. ნათიევმა გამოილაშქრა „ივერიის მემატია-ნეზედ“ და მერე რა რიგად გამოილაშქრა!...სწორედ მოგახსენოთ, დიდად ღირს შესანიშნავი კაცი ყოფი-ლა უფ. ნათიევი.

უფ. ნათიევი გვეფიცება, რომ თუმცა ჩემს შა-გირდებს კაცია-ადამიანის კითხვით თავს არ უხე-თქამო, (რა სხარტული და ფხიანი ოხუნჯობა მოსვლია უფ. ნათიევს!....) მაგრამ „ბუნების კარს კი კარგად გარკვევით კითხულობენ და არჩევენ ლოგ(ღ)იკურად და გ(ღ)რამმატიკულათაც.“ თუ მართლა თქვენა ხართ იმ ბავშვების ოსტატი,—ეგ დაუჯერებელია. თუ თქვენი საწყენი არ იქნება, ჩვენ ამის დასამტ-კიცებელს საბუთებს მოვიყვანთ თქვენის წერილი-დამვე, რომელიც დროების № 59-შია დაბეჭდილი. ჩვენ გაჩვენებთ, რომ თქვენ თვითონ ლოღიკაზედ და ღრამმატიკაზედ მწყრალად ბძანებულხართ. რო-გორ გგონიათ, ოსტატი რომ ლოღიკასთან და ღრამმატიკასთან უმძრახად ბძანდებოდეს, მას შეუძ-ლიან შაგირდებს ლოღიკურად და ღრამმატიკულად გაარჩევინოს წაკითხული წიგნი?

*) ერთს კაცს მეორისათვის ერთი მამალი მოეპარა. გამოსდგომოდა მამლის პატრონი, ხელი წაევლო ქურ-დისათვის. ქურდს თურმე იღლიის ქვეშ ამოეფარა მა-მალი, მაგრამ ისე კი რომ მამლის ბოლო გარედ დარჩე-ნოდა. ქურდმა ფიცი დაიწყო თურმე, რომ შენი მამალი მე არ წამომიყვანიაო. პატრონი, ხედავს რა თავისის მამლის ბოლოს იღლიიდამ გამოშვერილს, ეუბნება: ძმო-ბილო, შენი ფიცი მწამსო, მაგრამ ეს ბოლო კი მაკვირ-ვებსო.

თქვენა ბძანებთ: „მაგრამ არ არის რა ისეთი შემარცხვენელი კაცისათვის, როდესაც (ვაი ამ ქართულსა!...„არა არის რა ისეთი როდესაც!....) ის სჯის საგანზედ, რომელიც მას არ ეყურება (ოღონდაც!) და მომეტებული უფრო არა არის რა, (რა მოგახსენოს ქართულმა) ისეთი შემაძრწუნებელი და საზიზღარი მასმენელისათვის**) როდესაც კაცი სჯის კაცზედ და მის მოქმედებაზედ, ოდესაც მას არც თვალით უნახავს ეს კაცი და მისი მოქმედება და არც თვით საკუთარის ყურით გაუგონია მისი სჯა ამ მოქმედებაზედ.“ (აფერუმ ქართულის მასწავლებელო!)

რამდენსამე სტრიქონის ქვემოდ ბძანებს უფ. ნათიევი: ფრიად მიკვირს უცერემონიობა მისი („ივერიის მემატიანისა“) რომელმაც ასე თავგამოდებით და ამაყად გაბედა (ნუ თუ!...) სჯა იმ სასწავლებელზედ, რომელიც არამც თუ მას, არამედ სხვასაც კი, გარდა თვით სემინარიის მასწავლებელისა, არ უნახამთ ჩემი მოქმედება“ და სხვ. როგორ მოგწონთ ეს ქართული? როგორ გაბედაო სჯა იმ სასწავლებელზედ, რომელიც არ უნახავთ ჩემი მოქმედებაო. ამ ლოღიკით და ღრამმატიკით ასწავლით საწყალს ბავშვებსა?...კიდევ აფერუმ!....

თუმცა უფ. ნათიევი ასე ბლაჯნის ქართულსა, მაინც გვეფიცება, ჩემმა შეგირდებმა რვა თვე ნახევარში ძალიან კარგად ისწავლესო ჩემგან ქართულიო, ლოღიკურად და ღრამმატიკულად არჩევენო. აბა ერთი „ლოღიკურად და ღრამმატიკულად“ დააკვირდით ამ თქვენგან თქმულსა, თუ მანდ ლოღიკა და ღრამმატიკა იპოვოთ. ბატონო, სხვა არა იყოს რა, თქვენ ისიც არა გცოდნიათ, რომ „როდესაც“ და „ოდესაც“ ერთი და იგივე სიტყვაა და თქვენ უნდა დაგვაჯეროთ რომ თქვენმა შეგირდებმა თქვენგან კარგად ისწავლეს ქართული, ისიც რვა თვე ნახევარში!...სიტყვა „რომელი-ს“ ხმარება არა გცოდნიათ და გვეფიცებით, რომ თქვენი შეგირდები ქართულს ლოღიკურად და ღრამატიკულად არჩევენ! ან სხვის მოტყუება გსურთ, ან თქვენვე ჰსტყუვდებით, უფ. ნათიევო.

მაგრამ თქვენს უცოდინარობას თავი დავანებოთ. ზემოთ მოყვანილს სიტყვებში ერთი ისეთი რამაც მოიპოვება, რომელიც სრულს საბუთს გვაძლევს საქვეყნოდ აღვიაროთ, რომ თქვენ, უფ. ნათიევო, მართლა ღირს შესანიშნავი კაცი ყოფილხართ. თქვენ მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრებს კაცს არამც თუ გიკვირთ, არამედ შემაძრწუნებლადაც და საზიზღარად მიგაჩნიათ, რომ კაცმა იმისთანა კაცზედ ილაპარაკოს, რომელიც თვალით არ უნახავს. ამის შემდეგ თქვენ ოსტატობთ კიდეც!...წიგნსაც ასწავლით, წიგნსა, რომლის მეოხებითაც ადამიანს ეგ ყოვლად მხნელი ღონისძიება მიეცა მისდა საბედნიეროდ!...მაშ ვისაც თვალით არ უნახავს ალექსანდრე მაკედონელი და საკუთარის ყურით არ გაუგონია მისი სჯა, მას, თქვენის ლოღიკით, ხმა არ ამოეღება ალექსანდრე მაკედონელზედ და მის მოქმედებაზედ. საიდამ მოგიტანიათ ეს ახოვანი უვიცობა? სწორედ ღირს-შესანიშნავი კაცი ბძანებულხართ! ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ! განა თვითონ წიგნის არსებითი ძალა იმაში არ მდგომარეობს, რომ ტფილისელს ამერიკელთან გაალაპარაკებს და ამერიკელს ტფილისელთან, თუმცა ერთმანერთი თავის დღეში თვალითაც არ ენახოთ. თქვენ კი ეს წიგნის ძალა არამც თუ გიწამებიათ, არამედ საზიზღრადაც მიგაჩნიათ,—და ამის შემდეგ მაინც ოსტატობთ!...ამ შემთხვევაში თქვენი უმეცრება კი არ გვაკვირვებს, თქვენი ვაჟკაცობაა საკვირველი.

ნუ თუ ამისთანა მეცნიერებით გაჴვიადებული გვეუბნებით ჩვენ: „მერწმუნეთ, უფ. ავტორო, რომ იქნება ჩვენ უფრო ვიცოდეთ თუ როგორ სჯობს სწავლა ყმაწვილისათვის.“ ვითომ რათაო, უფ. ნათიევო? რა გამოჩენილი კაცი თქვენა ხართ პედაგოგიაში, რომ მაგას ეგრე ლიტონის სიტყვით თხოულობთ. რომელი პესტალოცცი, ლანკასტერი და დისტერვერგი თქვენა ბძანდებით, რომ ეგრე ამაყად გვიბძანებ, ჩვენ უფრო ვიცითო. იქნება მართლაც იცოდეთ, ღმერთმა მოგახმაროთ, მაგრამ აქაც კი ამტკიცებთ, რომ თქვენ ყველაფერი გცოდნიათ და ქართული კი არა. აბა ერთი გვიბძანეთ რა არის: „იქნება ჩვენ უფრო ვიცოდეთ თუ როგორ სჯობს სწავლა ყმაწვილისათვის.“ ქართველი ასე იტყოდა: „იქნება ჩვენ უფრო ვიცოდეთ ყმაწვილს როგორ უნდა ასწავლონ.“ აბა ეხლა თქვენგან თქმულს დააკვირდით, თუ იქ ან ღრამმატიკა, ან ლოღიკა და ან სიტყვის ცნობიერად ხმარება იპოვოთ, მაინც კიდევ გვეფიცებით, რომ თქვენგან შეგირდებმა კარგათ ისწავლეს ქართული? გვჯერა, გვჯერა, უფ. ნათიევო, რომ მუხას ვაშლი ასხიაო.

**) ჩვენ კორრექტორის შეცდომა გგონია აქ. თუ ეს ასე არ არის, უფ. ნათიევო, ამას იქით იცოდეთ, რომ „მასმენელი“ მაბეზღარია ქართულად და თქვენ კი ეგ სიტყვა „მსმენელად“ გიხმარიათ.

რა ვქნათ, მკითხველო, თუმცა უფალი ნათიევი ძლიერ პატივ-საცემი კაცი ბძანებულა და ღირს-შესანიშნავიცა, მაგრამ გვაპატიეთ, ჩვენ ვერ დავუჯერებთ, რომ მისმა შეგირდებმა ქართული ისე იცოდნენ, როგორც უფ. ნათიევი გვეფიცება. უფ. ნათიევს არამც თუ თვითონ არა ჰსცოდნია ქართულად აზრის გამოთქმა, არამედ სხვისგან თქმულის გაგებაზედაც უკაცრაოდ ბძანებულა. აი ამის საბუთიცა.

უფ. ნათიევი ქართულის ენის მასწავლებელი ბძანებულა გორის პროსემენარიისა. ჩვენ „ივერიაში" ვსთქვით: „იმავე პროსემენარიის პირველს განყოფილებაში, თუმცა ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ბავშვმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ბღაჯნის მეტი არა ისწავლოს რა".

აი უფ. ნათიევს როგორ გაუგია ეს სიტყვები: „იმან (ესე იგი „ივერიის მემატიანემ ანუ უკეთ ვსთქვათ, ზემოხსენებულის სიტყვების მთქმელმა) არც კი იცის რომ ჩემმა ყმაწვილებმა იციან წერა-კითხვა და სიმღერაცა (სერინკი კოზლიკ ხომ არა), თუმცა რვა თვე არის მარტო რაც დავაწყებინე სწავლა და სულ ყველანი უცნობნი იყვნენ წერა-კითხვისა. უფ. ავტორი კი წინაალმდეგ ამისა არწმუნებს (!) მკითხველთა (მკითხველო, შეგვიბრალეთ), რომ ქართულს სულ არ ასწავლიანო. მოდი და დაუჯერე (მართლა და მოდი დაგიჯეროთ) გაუჯერასა? მაშ საიდამ იციან-თქო ქართული წერა-კითხვა, თუ სულ არ ასწავლიან?" მოდით და ამის შემდეგ დაუჯერეთ უფ. ნათიევს, რომ მისი შეგირდები „ლოღიკურად და ღრამმატიკულად" არჩევენ წაკითხულსა.

მერე ვინ მოგახსენათ, რომ სულ არ ასწავლიანო. აგე ზემოთ მოყვანილი სიტყვები „ივერიის მემატიანისა." აბა ერთი მიბძანეთ, ვისაც თვითონ არ უვარჯიშნია მასზედ, რომ რასაც კითხულობს ის გარკვევით გაიგოს, განა მას შეუძლიან ყმაწვილებს გააგებინოს წაკითხული? უფ. ნათიევი გვეფიცება, რომ აი მე შემიძლიანო, თუ გინდათ მოდით მნახეთო. ჩვენა ვსთქვით, რომ თუმცა ქართულს ასწავლიანო, მაგრამ ყოველს ღონისძიებას კი ხმარობენო, რომ ბავშვმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ბღაჯნის მეტი არა ისწავლოს რაო. ამ უკანასკნელში კი შემცდარნი ვართ. უფ. ნათიევის წინაშე ამის გამო ბოდიშს ვიხდით საქვეყნოდ. თურმე ნუ იტყვით, ეგ „ყოველის ღონისძიების ხმარება" ტყუილია. აქ მარტო ერთი ღონისძიება უხმარიათ და არა ყველა, ესე იგი, იმისთანა ოსტატი მიუჩენიათ, რომლისაგანაც ბავშვნი ჩათვლით კითხვისა და ბღაჯნის წერის მეტს ვერას ისწავლიან, იმიტომ-რომ თვით ოსტატს ამაზედ მეტი ბევრი არა ჰსცოდნია რა, თუმცა გვეუბნება რომ დამერწმუნეთ, ჩვენ უფრო ვიცითო. თუ იცის რამე, იმ დალოცვილს რაღა დღისთვის უნდა, თუ გაჭირების დროს არ გამოიყენებდა.

უფ. ნათიევი ბძანებს: „ახლა ჩემი ანბანი. ჩემს ანბანს შინჯვენ კავკასიის სამასწავლო მაზრის რჩევაში. თუ რჩევა დაინახავს იმ ანბანსა სასარგებლოდ, მაშინ დაიბეჭდება. სინამ ის ანბანი არის დაუბეჭდავი, ვგონებ არავის აქვს ნება ილაპარაკოს. (რაო? მაშ ხელადებით ყველა უნდა დამუნჯდეს, ვიდრე უფ. ნათიევის ანბანი არ დაიბეჭდებაო!.... შენი მტერი, ჩვენ საქმე მოგვდის!.... ღმერთო ჩვენო, ეს უფ. ნათიევი რა გამოგვჩენია! *) წიგნი არის საზოგადო კუთვნილება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დაიბეჭდება, გამოვა ქვეყანაში. ეხლა კი ფრიად უჯიშობა (ზდილობაც მგონია საზოგადო კუთვნილება უნდა იყოს!... თქვენ ხომ არ ასწავლით თქვენს შეგირდებს ზდილობასაცა!... ბევრს კარგს კი ისწავლიან!) მოზდის უფ. ავტორს მასზედ, რომ ლაპარაკობს—თუ როგორ არის შედგენილი, რა მნიშვნელობა აქვს, ვისთვის არის და სხვა? არა განათლებულს ქვეყანაში არ მოხდება ეგრეთი „უჯიშობა" (ან უფ. ნათიევს არ ესმის სიტყვა „უჯიშობა" რას ნიშნავს, ან მართლა-და ზდილობის ოსტატიც ყოფილა გორის პროსემენარიაში, რომელშიაც არ ცოდნა არ ცოდვაა) როგორც (ვაი თქვენგან პატივცემულს ღრამმატიკას, უფ. ნათიევო! „როგორიც" უნდა, უფ. ნათიევო, ფრაზის მიმოხვრა მაგას მოითხოვს) მოუვიდა უფ. ავტორს".

ჩვენ თქვენი წიგნი და თხზულება არ გაგვირჩევია, ჩვენ ისა ვსთქვით, რომ თქვენ რაღაც გარმიანულს ანბანს ამოქმედებთ პროსემენარიაში, თქვენგან მოგონილსა და ამით უძნელებთ ბავშვებს სწავლასა. ეს მართალია თუ არა? თქვენ აქაც „ნათიაურად" გაგიგიათ ქართული, ჩვენ ნუ დაგვემდურებით,—ეგ თქვენის ოსტატობის ოსტატობაა, რომ რაც წაიკითხოთ, ის არ გაიგოთ. არ ეგვიცოდით, თორემ თქვენის მოგონილის ანბანით, ესე იგი, რუსულის ასოებით ქართულს სიტყვას დაგიწერდით, რომ „ლოგიკურად" და „გრამმატიკულად" წაკითხული

---

*) თუმცა გვესმის რის თქმა უნდა უფ. ნათიევს, მაგრამ ისიც გვესმის, რომ რაც უნდა, იმის თქმა ქართულად ვერ მოუხერხებია.

გაგერჩიათ. ვსთქვათ რომ თქვენი დაუბეჭდავი თხზულება გავარჩიეთ კიდეც, ვითომ „უჯიშობად“ რად გეჩვენათ? აქ „ჯიში“ რა შუაშია, უფ. ნათიევო? ერთი ეს გვინდა გკითხოთ: სად და რომელს განათლებულს ქვეყანაში გაგიგიათ, რომ ვიდრე წიგნი არ დაიბეჭდება, მასზედ ხმა არავის ამოეღება. არ შეიძლება მაგალითები გვიჩვენოთ? განათლებულ ქვეყნებში ის კი არის, რომ არამც თუ დაუბეჭდავს ნაწერსა, სიტყვით თქმულსაც არჩევენ და ის კი არ არის, რომ უცოდინარი კაცი სასწავლებელში ოსტატობდეს.

თქვენ თუ სიმართლისათვის გული შეგტკივათ განათლვბულს ქვეყნებში კი არუნდა გადაბძანებულიყავით, პასუხი უნდა მოგვეცათ ყოველს იმ საგანზედ, რაც „ივერიის მატიანეში“ იყო. იქ იყო რომ: 1) გორის სემინარიაში და არა პროსემინარიაში ქართულს არ ასწავლიან. აბა თქვენს წერილში ამის პასუხად ან ერთი სიტყვა გვაჩვენეთ. 2) იმერლებს, გურულებს, ფშაველებს,—ქართველებს ერთსა და იმავე გვარ-ტომად არა ჰსთვლიანო. აბა ამის პასუხად თქვენს წერილში ერთი სიტყვა გვაჩვენეთ. 3) პროსემინარიის მეორე განყოფილებაში ქართულს არ ასწავლიანო. თქვენ ამის პასუხად ბძანებთ, ვითომც ამ განყოფილებაში „არამც თუ ქართველებმა, რუსებმაც დასომხებმაც ისწავლესო.“ მაშასადამე არ ასწავლით, რადგანაც სწავლულს სწავლება არ უნდა. ჩვენც მაგას ვამბობთ, რომ ამ განყოფილებაში არ ასწავლიან ქართულსა და იმით თავს ვერ გაიმართლებთ, რომ ისწავლეს კიდეცაო და ამიტომ არ ასწავლიანო. ამას ვერ დაგიჯერებთ. ან იქნება რაკი ჩათვლით კითხვა იციან და ბლაჯნით წერა,—ეგ ცოდნა გგონიათ. თქვენგან არც ეგ არის საკვირველი. 4) „ივერიაში“ იყო, რომ თქვენ ქართულს ანბანს რაღაც თქვენგან მოგონილი ასოები ჩაუმატეთ და იმ ასოებით დაწერილს სიტყვებს აკითხებთ. ეს ტყუილია, თუ მართალი? რატომ ამაზედ ერთი სიტყვა მაინც არ დახარჯეთ? იმის მაგივრად რომ განათლებულს ქვეყნებს გადასწვდით, ამაზედ გეთქოთ რამე. თქვენს ბედს მადლობა შესწირეთ რომ ჩვენი ქვეყანა გაუნათლებელია, თორემ ვისაც „როდესაც“ და „ოდესაც“ სხვა და სხვა სიტყვა ჰგონია, ის ქართულის ენის ოსტატობას თავის დღეში არ ეღირსებოდა.

არა, უფ. ნათიევო! თუ მართლა ისეთი ხართ, როგორც თქვენი წერილი გვაუწყებს, ბევრიც რომ გვეფიცოთ, ჩემი შეგირდები ქართულად „კარგათ გარკვევით კითხულობენ და არჩევენ ლოგიკურათაცა და გრამმატიკულათაცა“, თუნდა გეწყინოთ ვერ დავიჯერებთ. თქვე დალოცვილო, მაგ ახოვანს უვიცობას რომ იღლიის ქვეშ მალავთ, ბოლოსაც მაინც ნულარ გამოაჩენდით. და ამიტომაც თქვენდა ნუგეშად ამას ვიტყვით: „თქვენი ფიცი დიალ გვწამს, მაგრამ ის წყეული უვიცობის ბოლო რომ გამოშვერილია, ის კი გვაკვირვებს.

## სასაუბრო და საფიქრებელი.

სადაც დიდი მდინარე წყალია,—იქ იმის შტოები პატარა წყლებიც უნდა იყვნენ; ამ ნაირადვე, სადაც რკინის გზის უმთავრესი განზიდულება არის,—იქ იმის შტოებიც უნდა გაჩნდნენ. ეს ასეა ყოველგან, და ჩვენ ფოთი-თბილისის გზასაც ეს ამბავი უნდა მოელოდეს,—ადრე, თუ გვიან შტოები უნდა გამოებას. ჯერ-ჯერობით ერთი შტო რიონის სადგომიდგან ქუთაისამდის შესრულდა და კიდევაც მოქმედებს.

მართალია, ქუთაისი თავის დღეში ვერ დაივიწყებს, თუ რა უსამართლოდ აუარა გვერდით მას ფოთი-თბილისის რკინის გზამ, მაგრამ რა გაეწყობა, რაც იყო, იყო, ამას აღარაფერი ეშველება,—და სულ არარაობასთან ქუთაისის შტოც დიდი საქონელია. ერთი სიტყვით როგორცა და რა ნაირადაც იყო, დღეს ქუთაისშიაც გვესმის ორთქლ-მავალას სტვენა-კივილი—ეს ძილისა და აპათიის დამფრთხობი ხმა.

არ ვიცი სხვა რასა ჰგრძნობს და მე კი რაღაც გამოუთქმელის სიამოვნებით აღტაცებული ვარ ყოველთვის, როცა ეს ხმა მესმის,—ჩვენ მელომანებთან კი დიდს ბოდიშს ვითხოვ: ჩემი პოეზიური გრძნობა ამ შემთხვევაში ისე დაბნეულია, რომ თვით რიონის ნაპირების ტურფა სანახაობას, მშვენიერებით სავსეს აქაურს მთაბარსა და მიწა-წყალს ჩემს თვალში მხოლოდ მას აქეთ მიეცათ სრული შნო და ლაზათი, რაც ზედ გაჰკივ· გამოჰკივის ორთქლ-მავალას ძლიერი ხმა. ეს ხმა აღძრავს ჩემს გულში უმაღლესს გრძნობას კაცის მხნეობისას, ძლიერებისასა და მიღვიძებს რაღაც სანუგეშო იმედებს.... კაცის ბედნიერების უძლიერესი მტერი იყო და დღესაც ის არის სიშორისა და უგზოობის გამო სხვა და სხვა ქვეყნებს შუა მისვლა-მოსვლის სიძნელე, რომლის მიზეზით შეუძლებელი იყო აღებ-მიცემისა და ამასთან გა-

ჩათლების დადგინება საზოგადოებაში. მხოლოდ ცეცხლით მატარებელმა მანქანამა ჰსძლია ამ საშინელ დაბრკოლებასა და მერმე ისეთის ძლიერებითა და თითქო გრძნეულების ძალითა, რომ კაცის გონება ჯერაც ვერ შეჩვეულა ამ საკვირველ მოვლინებასა. გული კმაყოფილებით ივსება, როდესაც მიმქროლე ვაგონიდგან თვალს ვადევნებ ჩვენ ჩვეულებრივად ტალახიანს, გაუვალელ გზებსა, მწუხარებიანსა და განსაცდელიანს ფოჩტის „სტანციებსა“ და იმათ „სმატრიტლებსა“.... მახსოვს ერთხელ ფოთი-თბილისის რკინის გზის გახსნის პირველ წელიწადს რომ რკინის გზით სატარებელი (ПОѢЗДЪ), რომელშიაც მე ვიჯექი, გრიალით მიჰქროდა სურამის ხეობაში. როდესაც ძველს ფოჩტის სტანციას—მოლითს გაუპირდაპირ[illegible] ვიღაცამ ვაგონიდგან თავი გამოჰყო და მაღლას ხმით შეჰსძახა სტანციის წინ მდგომარეს სმატრიტელს: „Смотритель, а! Что, лошадей нѣту, а? ахъ ты . . . . Что. нѣту лошадей, а?.... შენი...!“ დაუმატა მან ძლიერებისათვის ქართული გინება, რომელიც სხვა შემთხვევაში საზიზღარი გასაგონი იქნებოდა, მაგრამ იმ დროს კი ყველას სიამოვნების ღიმილი მოგვგვარა;—გვეტყობოდა,—ჩვენც ვგრძნობდით გულში ნაღველსა, ძველის მგზავრობის წესთა სიძულვილსა, ჩვენს წარსულ გაჭირვებასა და ჯავან-წყვეტასა, რომელსაც ასე ცხადად გვაგონებდენ ძველი მონგრეული ფოჩტის სტანციები და იმათი სმატრიტლები თავიანთის განუშორებლის კაკარდებითა.... ნეტავ არ იქნება, სხვა გაჭირვებასაც . . . . . . ასე დარდიმანდულად ჩაურბენდეთ გვერდითა და ერთს ქართულს ლაზათიანს გინებასაც ზედ დავაყოლებდეთ ოდესმე!

აქ სიტყვას შევსწყვეტ და ორიოდე სიტყვას მოგახსენებ მკითხველო ოსმალეთზე.

—ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო მკითხველო, ჩვენი დრო საკვირველი და მოულოდნელი საქმეების დროა. . . . . ოსმალეთი—ეს ყრუ და ბნელი ქვეყანა, ეს მართებლობის მძლავრობისა და თვით-მნებელობის საბუდარი ფიქრობს კეთილ-დღეობის მოპოვებასა და ფენიქსსავით განახლებასა ევროპიულის უმაღლესის ცივილიზაციის მიღებითა, . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

მართლაც რომ ოსმალეთი დღეს ისეთს გასაოცარს მაგალითს წარმოგვიდგენს, რომელსაც შეუძლებელია არ ვათხოვოთ სრული ჩვენი ყურადღება.

იმ სამოქალაქო და საპოლიტიკო ცხოვრების დედააზრებს, სჯულს და წყობილებას, რომელნიც ევროპიელებმა შეიძინეს მრავალის საუკუნოების ბრძოლითა და ჭირნახულობითა, დღეს ოსმალები ისე ეპატრონებიან, როგორც თავის სამკვიდროსა და ისეთი სითამამით ბღიარებენ მათ თავიანთის ცხოვრების წინამძღოლადა, თითქო ვერც კი ატყობდნენ, თუ [illegible] შეუსაბამო საქმეა ამნაირი მათგან მოქმედება.

ოსმალეთის კონსტიტუციაზედ იმას დაარსების პირველ დროს ბევრი სიცილი და მასხარობა ატყდა ყოველის მხრით საზოგადოებაში, ბევრი ხუმრობა და მოსწრებული სიტყვა ითქვა ამ საგანზედ,—ვინ ოსმალო და ვინ პარლამენტიო, თვითონ სიტყვები—„ოსმალეთის პარლამენტი“ ერთმანეთს რომ ვერ ეწყობიან, ცხოვრებაში რაღა ეშმაკი მოაწყობს იმათაო? და ამგვარები. მაგრამ პარლამენტის პირველსავე კრების შემდეგ ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ოსმალები არც ისე უცხონი ყოფილან თურმე საკონსტიტუციო წესების, როგორც ჩვენ ვფიქრობდით. ეს გუშინდელი მონები, რომელთაც აქამდის არა მოეკითხებოდათ რა გარდა ხმამოუღებლის მორჩილებისა, ისეთი თავისუფლებით, პირუთნელად და ღირსეულად იქცეოდნენ მართებლობის მიმართ საპარლამენტო ბაასის დროსა, ისე გულმხურვალედ და მხნედ შეუდგნენ თავიანთ ვალდებულების ასრულებასა, რომ ყველა გააკვირვა მტერიცა და მოყვარეც. მე როგორც ქართველი კაცი, ოსმალების მოყვარე არასოდეს არ ყოფილვარ და დღეს ხომ, რასაკვირველია, კიდევ უფრო ნაკლებად ვიქნები,—მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა,—მე რომ იმათ საპარლამენტო კრების ბაასის ამბავს ვკითხულობდი, რომელიც მომხდარიყო წარსულ მაისის 14, ასე მეგონა, თუ დიდის ფრანციულის რევოლუციის კაცების ხმა მესმოდა და არა საბრალო ოსმალების. იმ დღეს დეპუტატების პალატაში რამდენსამე დეპუტატებს მხურვალე სიტყვებით გამოუშკარავებიათ მართებლობის აპაპატია, თავის-მოყვარეობა და ქვეყნისადმი უზრუნველობა.... „ჩვენ შეგვიწირავს ჩვენი უკანასკნელი გროში, ამბობდა ერთი დეპუტატი, ჩვენი შვილები სისხლს ანთხევენ ჩვენ საზღვრებზედ, თქვენი (უმაღლესი თანამდებობის კაცების) შვილები რაღას აკეთებენ? ჩვენი მაზრები თქვენგან აკლებულნი შიმშილით რომ იტანჯე-

ზიან, თქვენ რა შემწეობას აძლევთ მათ თქვენი სიმდიდრიდგან? ჩვენის სამშობლო ქვეყნის მწუხარების უგრძნობელნო, თქვენი საქმე მხოლოდ ის არის რომ ოქროთი მოყვითლულ ეკიპაჟებში ატარებთ თქვენი უვარგისი ცხოვრება და ჩვენი ქვეყნის დასახსნელად კი არც სისხლსა სწირავთ და არც რასმეს იმეტებთ თქვენის სიმდიდრისაგან: ყოველგვარი მძიმე ვალდებულება ჩვენ და ყოველგვარი განცხრომა თქვენ განა!“

მეორე დეპუტატმა თავის სიმწარით სავსე სიტყვებში ასე დააბოლოვა: „დეე, ამათ (მინისტრებისკენ ხელი გაიწოდა) კარგად შეინახონ თავიანთი ოქრო და ვერცხლი, ჩვენ კი ყველა შევსწიროთ ჩვენს მამულს, რაც კიდევ გადაგვრჩენია, მაგრამ იმ პირობით, რომ ამათ აღარ გაბედონ ჩვენს შეწირულს ხელი ახლონ; რომ ჩვენი უკანასკნელი გროშები ჩვენ დაუკითხავად აღარ დაიხარჯოს.“ ამის შემდეგ დეპუტატების პალატამ ერთხმად გადასწყვიტა მართებლობის გაკიცხვა.

ამ ამბის მომსწრემ როგორ არ გავიკვირვო და არ ვიკითხო, თუ სად რა იქნენ ოსმალეთში ხვათქრობისადმი მონ ებრივი მორჩილება და ფეხქვეშ გება? ოსმალეთის საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცვლილების სწრაფი მსვლელობა იმ გვარია, თითქო მართლაც რკინის გზით მირბოდეს, და თვით დეპუტატების პალატის მიერ მართებლობის გაკიცხვა არ გვაგონებს განა პასსაჟირისაგან, სმატრიტლის გალანძღვას ზემოდ რომ გვსთქვით?

ჩვენთვის აქ ყურადღების ღირსი ის არის, რომ ჩვენ ყველას გვეგონა თუ ეს დიდი რეფორმები, რომელნიც ასე სეტყვასავით მოულოდნელად თავს წააწყდა ოსმალეთსა, ფეხის მოსაკიდებელ ნიადაგს ვერ იპოვნიდნენ და, მუხუდოს თესლის კედელზე შეყრის არ იყოს, უნაყოფოდ და უმნიშვნელოდ ჩაივლიდნენ, მაგრამ ჩვენი შეცთომა ამ შემთხვევაში—უნდა გავტყდეთ—საეჭვო აღარ არის.

რას უნდა მივაწეროთ ეს მოვლინება ოსმალეთში? რა ნაირად შესაძლებელია, რომ ფადიშაჰურ წესებზედ, ყორანზედ და იმათ შესაფერ ადათებზედ დაფუძნებული საპოლიტიკო და საზოგადოებრიო ცხოვრება დიდის რევოლუციის დროიდგან მონიჭებულს თვით-მმართველობის წესებს ითვისებდეს? ამ გარემოების ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ ჩვენ ვერ ვატყობდით, თორემ ამ რეფორმების მისაღებად ოსმალეთი თურმე მომზადებული ყოფილა, ჩვენი მიუმხვდარობა ამ საქმეში ძრიელ შესანდობელია, რადგან ოსმალეთი თავის სარწმუნოების და ჩვეულების ძალით ისეთს განსხვავებულ მდგომარეობაში იყო, რომელიც ევროპიის ცივილიზაციისათვის მას თითქმის მიუკარებლად ჰყოფდა

მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დღეს ისეთი დროა, როდესაც ევროპიულს ცივილიზაციას ვერაფერი ველარ გაუმაგრდება; ლამის ჩინეთის დიდი კედელიც აგერ შეარღვიოს, თორემ სხვაგან ძვირია ისითი კუთხე, სადაც იმის სინათლე და ძლიერება არ მუშაობდეს.

ერთს ფრანციულს ჟურნალში ამას წინეთ წარმოთქმული იყო ის აზრი, რომ მეცნიერებას და ხელოვნებას, გარდა ევროპა-ამერიკას შუა ტელეგრაფისა და სუეცის ყელის გაჭრისა, სხვა დიდი საქმე ვითომც ჯერ-ჯერობით არა გაეკეთებინოსთ რა; მაგრამ ეს კი აღარ მიუღია უფ. მეცნიერს მხედველობაში, რომ სხვა უდიდებულესი საქმე რაღა შეიძლება იმაზედ, რომლის ძალითაც მთელი ქვეყანა ასე უერთდება და უკავშირდება ევროპიის განათლებასა? მეცნიერება და ხელოვნება არა თუ სუეცის ყელსა, მთელის დედამიწისზედსა ჰსჭრის და უახლოვებს სანატრელ კეთილდღეობას. დღეს, მადლობა ღმერთს, ის დრო დადგა, როდესაც ამისთანა ძველი „ლათაიები“ როგორც მაგალითად, „ჯერ საზოგადოების აზრი უნდა შეიცვალოს და ნიადაგი მომზადდეს და მერმე რეფორმა შემოვიდესო“ პატივებაში მისაღები აღარ უნდა იყვნენ მეტადრე საქრისტიანო ქვეყნებში, სადაც აზრიც ძრიელ შეცვლილია და ნიადაგიც მზად არის სრულის და მრავალ-გვარის რეფორმების მისაღებად. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . .

პ. ნ.....ძე.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Іюнія 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.